

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

სამაგისტრო ნაშრომი

თემაზე:

ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის
სამართალსუბიექტურობა

სტუდენტი : ლიკა სერგია

ხელმძღვანელი: გია ლილუაშვილი

თბილისი

2019

სარჩევი

შესავალი

თავი 1. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმამდელი და შემდგომი ურთიერთშედარება მხარდაჭერის მიმღები პირის ინსტიტუტთან

.....

1.1 მხარდაჭერის მიმღებად ცნობის, მხარდაჭერის დანიშვნის პროცედურა და მასთან არსებული ხარვეზები

1.2 ექსპერტიზის როლი პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე.....

1.3 დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე ანუ სავალდებულო დაცვა

თავი 2. ქმედუნარიანობის სისტემის ახალი მოდელის მიმართება ცალკეულ უფლებებთან; ევროპის ქვეყნების მიდგომები და საკანონმდებლო რეგულაციები

2.1 მხარდაჭერის მიმღების გარიგებაუნარიანობა.....

2.2 მხარდაჭერის მიმღები როგორც ქორწინების სუბიექტი

2.3 მხარდაჭერის შრომის უფლება.....

2.4 მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება.....

2.5 საარჩევნო უფლება

2.6 ჯანმრთელობის დაცვის უფლება

თავი 3. მხარდაჭერის მიმღები პირის პრობლემები

3.1 პრაქტიკაში არსებული პრობლემები

3.2 მხარდაჭერის მიმღები პირის ინსტიტუტის საკანონმდებლო ხარვეზები..

4. ქმედუნარიანობის სისტემა უცხო ქვეყნების კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

5.სტატისტიკა საერთო სასამართლოების სისტემაში პირის მხარდაჭერის ცნობასთან დაკავშირებით

დასკვნა.....

გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

2015 წლის 20 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532/533 გადაწყვეტილებით პრინციპული ნოვაცია განიცადა ქმედუნარიანობის სამოქალაქო კოდექსისეულმა კონცეფციამ. „ქმედუნარიანობის ინსტიტუტი“ გაუქმდა.¹ სხვადასხვა საკანონმდებლო მოქმედი აქტებიდან ამოღებულ იქნა შემდეგი ტერმინები: „ჭკუასუსტობა“ და „სულით ავადმყოფობა“ ამ ტერმინების ნაცვლად შემოღებულ იქნა „მხარდაჭერის მიმღები პირის“ ანუ „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის“ სტატუსი. აღნიშნული ცვლილებები 2015 წლის 1 აპრილიდან შევიდა ძალაში. სწორედ ამ დროიდან დაიწყო დანერგვა და განხორციელება სრულიად ახალი საკანონმდებლო სისტემის.

საკანონმდებლო ცვლილებებამდე არსებობდა გარკვეული სახის შეზღუდვები, იმისთვის, რომ პირი ქმედუნარიანად ყოფილიყო მიჩნეული ის უნდა ყოფილიყო გარკვეული ასაკის, ჰქონოდა ნორმალური განსჯის უნარი და უნდა შეძლებოდა ანგარიშის გაწევა მის მიერ განხორციელებული ქმედებისათვის. ამ ფაქტორებიდან გამომდინარე პირის ქმედუნარიანობა განისაზღვრებოდა ასაკითა და ჯანმრთელობით.² მაშინ როდესაც პირს დაავადების მიუხედავად, შენარჩუნებული ჰქონდა გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი სოციალური ცხოვრების ცალკეულ სფეროში, რომელიც მიმართული იყო საკუთარი პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ. ქართულმა კანონმდებლობამ გარკვეულწილად შეცვალა მიდგომები მოცემულ საკითხთან მიმართებითდა უპირატესობა მიანიჭა ფუნქციურ მოდელს, სადაც მხარდაჭერის უპირატესობა გამოიკვეთა ნების გამოხატვაში. კანონმდებლობა არ იძლეოდა პირის ნების გამოვლენასთან დაკავშირებით დეფერენცირებული მიდგომის შესაძლებლობას,

¹საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2014 წლის ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე N2/4/532/533)

²ჭანტურია ლ. შესავალი სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში. თბილისი 2000 გვ 151

რომელიც იქნებოდა სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ინტელექტუალური და ნებელობითი უნარების ფაქტობრივი დაქვეითების ხარისხის თანაზომიერი .

ნაშრომის შესრულებისას გამოყენებულია ანალიტიკური, ლოგიკური და შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები. ამ მეთოდების გამოყენებით ძველი მოდელის შემდგომ განხორციელებულ ცვლილებებს შეეხება.

კვლევის მიზანია ქმედუნარიანობასთან დაკავშირებული ახალი რეგულაციების თეორიული და პრაქტიკული ანალიზი, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა. ნაშრომში ასევე გაანალიზებულია ცვლილებათა დანერგვის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები, პრობლემები და შემოთავაზებულია მათი გადაჭრის გზები. ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა უცხო ქვეყნების კანონმდებლობისა და პრაქტიკის განხილვას. მიმოხილულია გერმანიის, საფრანგეთის, ნორვეგიის, ინგლისისა და რუმინეთის კანონმდებლობა და პრაქტიკა ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით.

მოცემული საკითხების ანალიზი მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც, მხარდაჭერის ინსტიტუტი სიახლეს წარმოადგენს ქართულ კანონმდებლობაში და ჯერ კიდევ მიმდინარეობს მისი დანერგვისა და იმპლემენტაციის პროცესი. გამომდინარე იქედან, რომ ცვლილებათა დანერგვის პროცესს თან ახლავს ხარვეზები და პრობლემები, მნიშვნელოვანია მათი გამოვლენა, გაანალიზება და მოგვარების გზების ძიება, რათა საწყის ეტაპზევე განხორციელდეს შესაბამისი სამართლებრივი ნაბიჯების გადადგმა მათი მოგვარებისა და შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით.

შედარებითი სამართლებრივი მეთოდების გამოყენებით წარმოდგენილი იქნება ნაშრომში პრობლემური საკითხები და ამ პრობლემის ფარგლები, გადაჭრის გზები.

2014 წლის 08 ოქტომბრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ფსიქიკური დაავადების გამო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ქმედუნარიანობის შეზღუდვის არსებული საკანონმდებლო რეგულაციები არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. შესაბამისად , საქართველოს პარლამენტმა

შეიმუშავა და მიიღო ისეთი ნორმები ,რომლებიც შეესაბამება კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის უფლებების სტანდარტებს, ასევე გაეროს „ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის" მოთხოვნებს .

ზემოთ აღნიშნული კონვენციით საქართველომ აიღო ვალდებულება, სამართლებრივად უზრუნველყოს კონვენციით აღიარებული უფლებების დაცვა.

კონვენციის მე-12 მუხლის შინაარსი ემყარება დოკუმენტის ძირითადი პრინციპების - პირის ღირსების, არჩევანის თავისუფლების, პიროვნული ავტონომიის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი და ეფექტური მონაწილეობის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების განსაკუთრებულობისა და განსხვავებულობის პატივისცემასა და დაცვას.³ არსებული ცვლილებებიდან გამომდინარე აქამდე არსებული მიდგომა შეიცვალა .

ასევე ნაშრომის გარკვეული ნაწილი დაეთმო პრაქტიკაში ამ ინსტიტუტის გავლენას როგორც საქართველოში ასევე უცხო ქვეყნებში.

ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმამდელი და შემდგომი ურთიერთშედარება მხარდაჭერის მიმღები პირის ინსტიტუტთან

პირს რომელსაც გააჩნია უნარი თავად მოახდინოს უფლებაუნარიანობის შინაარსის პრაქტიკული რეალიზაცია ის პირი მიიჩნევა ქმედუნარიანად, რაც შეეხება ქმედუნარიანობას პირი მას დაბადებიდანვე არ იძენს და მისი შეძენა დაკავშირებულია სამართლებრივად მნიშვნელოვან გარემოებებთან . თუ განვიხილავთ გარემოებებს რომელიც განსაზღვრელია ამ სტატუსის მინიჭებისთვის ერთ-ერთს წარმოადგენს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა .

2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით პრინციპული ნოვაცია განიცადა ქმედუნარიანობის სამოქალაქო კოდექსის ეულმა კონცეფციამ. ქმედუნარიანობა ყოველთვის დაკავშირებული იყო ამა თუ იმ გარემოებასთან, ასეთ სამართლებრივად მნიშვნელოვან გარემოებებს , რომელთა მიხედვითაც განისაზღვრებოდა პირის

³გაეროს „ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია "

ქმედუნარიანობა, წარმოადგენდა ასაკი და ჯანმრთელობა .⁴ შიდა სამართლებრივი სისტემა ქმედუნარიანობის სტატუსის განსაზღვრის სტატუსზე დაფუძნებულ მოდელს იყენებდა, კერძოდ პირისთვის სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების ქონის უნარს, მისი გონებრივი განვითარებისა და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით აფასებდა და პირის ქმედუნაროდ სასამართლოს აღიარების შემთხვევაში, სრულად იქნებოდა პირის ნების ჩანაცვლების მოდელს .⁵

სამოქალაქო კოდექსი „ ჭკუასუსტობას" ან „სულით ავადმყოფობას" მიიჩნევდა პირის ქმედუნარიანობის საფუძვლად, რაც გამორიცხავდა ქმედუნაროდ აღიარებული პირის მიერ დამოუკიდებლად სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელების შესაძლებლობას და ნებისმიერი სამართლებრივი შედეგის წარმომშობი ქმედების განხორციელებას. პირის ქმედუნაროდ აღიარება არღვევდა მისი სამართალ-სუბიექტურობის უფლებას, რამდენადაც ამგვარი მიდგომა ფაქტობრივად წარმოადგენდა ადამიანის ყველა უფლების ბლანკეტურად და განუსაზღვრელი დროით განხორციელების შეზღუდვის საფუძველს. ეს პრობლემა მუდმივად არსებობდა საკანონმდებლო სივრცეში, ვინაიდან თუსაქმე ეხებოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ქმედუნარიანობის საკითხის გადაწყვეტას, საქართველოს კანონმდებლობა უპირატესობას ანიჭებდა ორ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ მიდგომას , რაც გამოიხატებოდა შემდეგში პირი იყო ან ქმედუნარიანი ან არა, ამ ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ მიდგომას შორის არ არსებობდა რაიმე შუალედური მოწესრიგება, დამატებით რაიმე მექანიზმი რაც შუალედურ პოზიციაში დაარეგულირებდა საკითხს . რადგან არ ყოფილიყო კონკრეტული საკითხი მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი კუთხით გადაჭრილი.

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის" მე-12 მუხლი, ეწინააღმდეგება სამართალსუბიექტობის აღიარებისას დისკრიმინაციულმიდგომებს, გმობს ნების ჩანაცვლებითი მექანიზმების გამოყენებასდა მიიჩნევს რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი, ან რაიმე დარღვევის არსებობა არასდროს უნდა გახდეს საფუძველი

⁴ჭანტურია ლ . შესავალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში . გვ 151

⁵გვიშიანი ლ. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება

სამართალსუბიექტურობაზე ან ნებისმიერ უფლებაზე უარის თქმისთვის ⁶ სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს, სტატუსის მინიჭებისა და მეურვის დანიშვნისთანავე ერთმოდათ შესაძლებლობა განეხორციელებინათ ნებისმიერი უფლება. ქმედუუნარო პირებს ეკრძალებოდათ სამოქალაქო ქორწინება, შვილის აღზრდა, არჩევნებში მონაწილეობის მიღება, სამართლებრივ ურთიერთობებში საკუთარი ნების გამოვლენა, საკუთარ ჯანმრთელობაზე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა, სასამართლოსა თუ ადმინისტრაციულ ორგანოში მიმართვა და სხვა მნიშვნელოვანი ქმედებები. თავის მხრივ, უფლებაშემლახველი იყო პირის ქმედუუნაროდ ცნობის პროცედურა. ქმედუუნაროდ აღიარება ემყარებოდა პირის დიაგნოზს, მისი ფსიქიკური თუ გონებრივი მდგომარეობის შესახებ. ძირითადი გადაწყვეტი მნიშვნელობა რაზეც დამოკიდებული იყო ადამიანის სიცოცხლისთვის ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ფაქტიურად მთელი მისი ცხოვრების, საზოგადოებაში ინტეგრირების საკითხები დამოკიდებული იყო დიაგნოზზე რომელიც ცალსახად ადგენდა პირის ან ქმედუუნარიანობას ან კიდევ მის ქმედუუნარობას. ამ დროს ვერ ახერხებდა სასამართლო პროცესში მონაწილეობას და სასამართლო მხოლოდ სამედიცინო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იღებდა გადაწყვეტილებას. გარდა მონაწილეობისა, ქმედუუნაროდ აღიარებულ პირს პრაქტიკულად არ შეეძლო მის მიმართ მიღებული არაერთი შუალედური ან საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრება .

მეურვეთა მხრიდან მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ქმედუუნარო პირები ასევე მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, დაეცვათ საკუთარი ინტერესები მეურვეების არაკეთილსინდისიერი მოქმედებისგან და გაესაჩივრებინათ სასამართლოში ან სხვა ორგანოებში. ⁷ პირის ქმედუუნაროდ აღიარებისა და მისთვის მეურვის დანიშვნის პროცედურა, გულისხმობდა ცხოვრების ნებისმიერი სფეროს წარმართვის შესაძლებლობას თავად ამ პირის სათანადო მონაწილეობის გარეშე. ფაქტობრივად პირის ქმედუუნაროდ აღიარება წარმოადგენდა მის სამოქალაქო სიკვდილს .

⁶შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენცია, ზოგადი კომენტარი N1 შეძლებული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტი C/ GC / 1 პ.9

⁷გვიშოანი ლ. ქმედუუნარიანობის სისტემის რეფორმისადა მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება

დღეს მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა ერთმანეთისგან მიჯნავს პირის უფლებაუნარიანობას, შეზღუდულ ქმედუნარიანობასა და ქმედუნარიანობას. კანონმდებლობა მათგან დამოუკიდებლად იცნობს მხარდაჭერის მიმღები პირის ცნებასაც და მას ქმედუნარიანობის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს. ყოველივე აღნიშნული გატარებული რეფორმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რაც მას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების აღიარების ყველაზე პროგრესულ მოდელთან აახლოებს. კანონმდებლობის მიხედვით, სამოქალაქო უფლება უნარიანობა გულისხმობს პირის უფლებას, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები, რომელიც წარმოიშობა დაბადების მომენტიდან და წყდება გარდაცვალებისთანავე. ვინაიდან ის განუყოფელია ადამიანისაგან მისი წართმევა დაუშვებლად მიიჩნევა.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ ეს მიდგომა შეიცვალა. მოქმედი მოდელის მიხედვით გაუქმდა პირისთვის უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობა და იგი ჩაანაცვლა მხარდაჭერის მოდელმა. კანონმდებლობის მიხედვით, მხარდაჭერის მიმღებ პირს შეუძლია განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები დამოუკიდებლად, ხოლო იმ სფეროში, სადაც დანიშნული ჰყავს მხარდამჭერი - შესაბამისი მხარდაჭერის განხორციელების მეშვეობით. მხარდამჭერი პირი ვალდებულია თვალყური ადევნოს მეთვალყურეობის ქვეშ არსებულ პირის სამედიცინო მომსახურებას, გამოიკვილოს მისი სურვილები და დაეხმაროს მას გადაწყვეტილების მიღებაში .

ცვლილებებამდე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით თუ „ ჭკუასუსტი" ან „ სულით ავადმყოფი პირი" ზიანს მიაყენებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით სხვა პირს მას არ ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ხოლო დღევანდელი რეაქციით კი მხარდაჭერის მიმღები პირი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან არ თავისუფლდება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი პირის ქმედუნარიანობის შეფასებისას არის მისი გარიგებაუნარიანობა. ცვლილებამდე საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობაზე საუბრისას განმარტავდა, რომ ნების გამოვლენის ნამდვილობაზე შეიძლება გავლენა არ

მოახდინოს გარიგების დამდები პირის გარდაცვალებამ ან ქმედუნარიანობის დაკარგვამ, თუკი ეს მოვლენები დადგა ნების გამოვლენის შემდეგ.

საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე, ქმედუნარო პირებს ეკრძალებოდათ შრომითი ხელშეკრულების დადება და მათ არ შეეძლოთ საჯარო სამსახურში დასაქმება. დღეს მოქმედი კანონმდებლობა შრომის უფლებით სარგებლობის ნაწილში განსხვავებულად არეგულირებს მხარდაჭერის მიმღები პირების უფლებრივ მდგომარეობას „ საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად მხარდაჭერის მიმღებ პირს არააქვს უფლება დასაქმდეს საჯარო სამსახურში, რაც შეეხება კერძო პირებს შორის შრომითი ხელშეკრულების დადებას, მხარდაჭერის მიმღებ პირს შეუძლია დადოს აღნიშნული ხელშეკრულება, თუკი მას არ ჰყავს მხარდაჭერი ამ სფეროში .

მხარდაჭერის მიმღებად ცნობის, მხარდაჭერის დანიშვნის პროცედურა და მასთან არსებული ხარვეზები

საქართველოს სამოქალაო კოდექსის მიხედვით, მხარდაჭერის მიმღები არის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი, ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავაკონკრეტოთ, პირები რომლებიც საჭიროებენ მხარდაჭერას არიან ქმედუნარიანი. ე.ი მას შეუძლია სრულად შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები, მართალია გარკვევით არის ყოველივე ეს პროცესი აღნიშნული კანონში, თუმცა მისი ქმედუნარიანობა არ ნიშნავს დამოუკიდებლად ყველა ქმედების განხორციელების შესაძლებლობას, ზოგიერთი უფლების თუ ვალდებულების განხორციელებისას მას სასამართლოს მიერ ენიშნება მხარდაჭერა ანუ კანონით უზრუნველყოფილია მისთვის დახმარება უფლებათა განხორციელებისას, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

რეფორმამდე პირის ქმედუუნაროდ ცნობის საქმის წარმოება უდავო კატეგორიის საქმეებს მიეკუთვნებოდა. უდავო წარმოება თავისი არსით განსხვავდება სასარჩელო წარმოებისაგან. უდავო წარმოებაში არარსებობენ შეპირისპირებული მხარეები და ის არ გულისხმობს დავას უფლების თაობაზე, რაც დამახასიათებელია სასარჩელო წარმოებისათვის. უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეში დგინდება ფაქტები და არა ამ ფაქტების სამართლებრივი შედეგები ის თუ რა შედეგს უკავშირებს კანონი უდავო წარმოების წესით დადგენილ ფაქტს.⁸

ყოველივე ზემოთ აღნიშნული პროცედურა მხარდაჭერის დანიშვნასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ ხდება ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, ხდება ბევრი ფაქტორის შესწავლა როგორც სამედიცინო ისე სოციალური კუთხით, რათა სწორად მოხდეს ისეთი პირის არჩევა ვინც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირისთვის შეძლებს უფლებებისა და ვალდებულებების დაცვას და ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენას. მხარდაჭერის მიმღებად ასევე შეიძლება მიჩნეული იყოს არასრულწლოვანი.⁹ მხარდამჭერად შეიძლება დაინიშნოს პირის ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი ან სპეციალისტი, რომელიც აკმაყოფილებს სამოქალაქო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ ვერ მოახერხა მხარდამჭერის დანიშვნა პირის ოჯახის წევრის, ნათესავთა, ახლობელთა ან სპეციალისტთა წრიდან, იგი მხარდამჭერად ნიშნავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ პირს, ხოლო თუ პირი სპეციალიზებულ დაწესებულებაშია მოთავსებული - დაწესებულების წარმომადგენელს.¹⁰

კერძო სამართლის სუბიექტი ე.ი სამართალუნარიანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც შესწევს უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. მართალია ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვა, ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთება განსაზღვრულ სირთულეებთან არის

⁸საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 22 ოქტომბრის Nა/ს-741-702-2015 გადაწყვეტილება

⁹საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 12.4

¹⁰იქვე: მუხლი 1280.5

დაკავშირებული და სათანადო ხელშეწყობის გარეშე ისინი ვერ იქნებიან კერძოსამართლებრივი ურთიერთობის თანასწორი სუბიექტები, სწორედ ეს გარკვეული სახის ურთიერთობებში შეზღუდვები წარმოადგენს მათ განსხვავებულობას და სხვაგვარი სტატუსის მინიჭებას¹¹ მაგრამ ეს არ აძლევს სახელმწიფოს მათთვის არათუ ქმედუნარიანობის ჩამორთმევის, არამედ შეზღუდვის უფლებასაც კი. სახელმწიფო ამ შემთხვევაში მოიაზრება როგორც დამცველი და მათი უფლებების დაცვის გარანტი. კონვენციაში და მის კომენტარში მკაფიოდ არის დაფიქსირებული, რომ პირის როგორც უფლებაუნარიანობა, ისე ქმედუნარიანობა მის ადამიანად ყოფნას უკავშირდება და იმისთვის, რომ პირი სამართლის სუბიექტობიდან არ იქცეს სამართლის ობიექტად, დაუშვებელია მისთვის აღნიშნული უნარების წართმევა. გარდა ამისა, პირადი ავტონომიიდან გამომდინარე, ადამიანს სრული უფლება აქვს განახორციელოს თუნდაც საზოგადოების საშუალო წევრის ხედვასთან შეუთავსებელი ქმედებები, რადგან ასეთი უნებლიე გადაწყვეტილებების მიღების გამორიცხვა შეუძლებელია. „შეცდომებს მაღალი ხარისხის ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე პირებიც კი უშვებენ“.¹²

ვინაიდან ამ კონკრეტულ თავში განვიხილავთ პროცესუალურ საკითხებს მხარდამჭერის დანიშვნასთან, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ამ საკითხების შემდეგ უშუალოდ მხარდამჭერის ფუნქციებისა და ვალდებულებების ნაწილობრივი შეფასება. მხარდამჭერი ვალდებულია, თვალყური ადევნოს მხარდაჭერის მიმღების მუდმივ სამედიცინო მომსახურებას, დაადგინოს მისი სურვილები/არჩევანი და დაეხმაროს მას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში, რაც გამოიხატება გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის მხარდაჭერის მიმღებისათვის გასაგები საკომუნიკაციო ფორმით მიწოდებაში. მხარდამჭერი ასევე ვალდებულია, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს, აღნიშნულ ორგანოს მიაწოდოს ინფორმაცია სასამართლოს გადაწყვეტილებით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების შესახებ. ამ ინფორმაციაში მხარდამჭერი ასევე უთითებს

¹¹იხ: დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ.

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება, პ 26.

მის მიერ მხარდაჭერის გაწევასთან დაკავშირებულ თავისებურებებს.¹³ თუმცა გამონაკლისის სახით მხარდასაჭერ პირს თუ ემუქრება რაიმე სახის ზიანი და ჯერ სასამართლოს მიერ არ მომხდარა მხარდამჭერის დანიშვნა, შესაძლებელია დაენიშნოს დროებითი მხარდამჭერი. რომელიც განახორციელებს მის დროებით დაცვას.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, მართალია ტექნიკურად პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის სამართალწარმოება არ მიეკუთვნება უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებს. თუმცა იგი არასასარჩელო წარმოების წესების დაცვით მიმდინარეობს და ვერ უზრუნველყოფს მხარდამჭერის მიმღებად საცნობი პირის სრულყოფილი მონაწილეობის შესაძლებლობას, ამგვარი საჭიროების შემთხვევაში წარმოებისას განსაზღვრულია მხოლოდ განმცხადებლის სტატუსი, ხოლო პროცესის სხვა მონაწილეების სტატუსი ბუნდოვანია.¹⁴

რაც შეეხება პირის სამართალსუბიექტობას, ეს უკანასკნელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ცალკეული სუბიექტის ინდივიდუალურ ნიშნებთან და შესაძლებლობებთან.¹⁵

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე გადაწყვეტილებებს იღებს სასამართლო. სასამართლოს ეკისრება ვალდებულება, გადაწყვეტილებაში ასახოს მისი გამოტანის მოტივი. მოსამართლემ უნდა მიუთითოს უფლება, რომლის სარგებლობისთვისაც უწესდება პირს მხარდაჭერა. გადაწყვეტილება ასევე უნდა განსაზღვრავდეს ფარგლებს, უფლებებსა და მოვალეობებს, ანგარიშის წარდგენის პერიოდულობას, მხარდაჭერის ვადას და მისი გადასინჯვის პერიოდს. ასევე სხვა გარემოებებს რომელიც აუცილებელია გადაწყვეტილების აღსრულებისთვის.¹⁶

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის გადაწყვეტილების დიდ უმრავლესობას საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი გააჩნია, რაც შესაძლებელს ხდის მხარდაჭერის დანიშვნის საჭიროების გარკვევას. ამას გარდა, სასამართლოების ნაწილი თავად მხარდაჭერის მიმღებ პირს

¹³საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1289

¹⁴გვიშიანი ლ. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და იმპლემენტაციის პროცესის შეფასება

¹⁵კერესელიძე დ. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009

¹⁶საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363-21ზ

არ განიხილავს მხარედ და დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებს ისე აქვეყნებს, რომ მის დამოკიდებულებას აღნიშნულისადმი არ იკვლევს.

აუცილებელია სასამართლომ მეტი ყურადღება დაუთმოს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის გადაწყვეტილების დასაბუთებულობის პრობლემას და ამ მიზნით შეიმუშავოს მოსამართლეთა გადამზადების პროგრამა. გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელის დანერგვის პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრებათ მხარდამჭერებს, ვინაიდან მათ მომზადებასა და ინდივიდუალურ უნარ-ჩვევებზეა დამოკიდებული რეფორმის პრაქტიკული იმპლემენტაცია.

ექსპერტიზის როლი პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე

მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირისათვის ექსპერტიზის ჩატარების ამოცანა და მიზანი. ექსპერტიზამ უნდა უპასუხოს სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებს. ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციისაგან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებებისაგან, ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტებისაგან.¹⁷ სამოქალაქო კანონმდებლობა ადგენს ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირის ექსპერტიზის ჩატარების წესს, მიზანსა და საფუძვლებს. კანონის ამ მუხლებიდან გამომდინარე ვიღებთ ზოგად წარმოდგენას თუმცა არსებობს თვითონ ექსპერტიზის პროცესთან დაკავშირებით უამრავი დეტალი რაც გასათვალისწინებელია, ასევე პრობლემას სად და რატომ ვაწყდებით და რამდენად არის ყოველივე ეს დაცული კანონის კუთხით.

სასამართლო საქმის განხილვის ეტაპზე ნიშნავს ექსპერტიზას, რომელშიც მონაწილეობა დამოკიდებულია მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის ნებაზე. ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე, ექსპერტიზა მოიცავს პირის სამედიცინო-ფსიქიატრიული, ფუნქციური, ფსიქოლოგიური, სოციალური

¹⁷ „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონი

ადაპტაციისა და სხვა ასპექტების შეფასებას, რის შემდგომაც ექსპერტიზა ადგენს პირის გონებრივი /ინტელექტუალური დარღვევის ხარისხს, აფასებს მის სოციალურ ადაპტაციას და აქედან გამომდინარე, განსაზღვრავს მხარდაჭერის თავისებურებებს.¹⁸ მხარდაჭერის მიმღებად პირის ცნობის მოთხოვნით განცხადების წარმოებაში მიღებისთანავე, სასამართლო აჩერებს საქმის წარმოებას და ფსიქოსოციალურ ექსპერტიზას ნიშნავს. სწორედ ექსპერტიზის შედეგით განისაზღვრება სასამართლო გადაწყვეტილების შედეგი. დასკვნა ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე მიიღება მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრთა ხმათა უმრავლესობით, რომელიც შედგება ფსიქიატრის, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკისა და ოკუპაციური თერაპევტისაგან. ისინი ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას პირის ფსიქოსოციალური მდგომარეობის შესახებ. კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს ექსპერტიზის დადებით და აუარყოფით დასკვნებს.¹⁹

ექსპერტიზის დანიშვნის პროცედურა და მიზნები მართალია გასაგებია თუმცა რამდენადმე ბუნდოვანია შემთხვევა როდესაც ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე, იძულებითი ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევებს და ნათლად არ ადგენს იძულებითი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას. ამასთან, მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრთა ხმების გაყოფის შემთხვევაში, დასკვნა უარყოფითად არ მიიჩნევა. ეს კი შესაძლოა ახდენდეს არათანაზომიერი ტვირთის გადატანას სასამართლოზე. კანონით ზუსტად გვაქვს სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების მთავარი მიზანი, ასევე გათვალისწინებულია პირის ექსპერტიზაზე იძულებით გაგზავნის შემთხვევა, თუ პირი, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, თავისი ქმედებით არსებით ზიანს აყენებს საკუთარ ან სხვათა უფლებებს. ძირითად მიზანს ამ ქმედების განხორციელების წარმოადგენს როგორც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ასევე სხვათა უფლებების დაცვა .

¹⁸საქართველოს კანონი „ ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ" მუხლი 4

¹⁹იქვე , მუხლი 3

იძულებითი ექსპერტიზის დანიშვნის შემდგომ ხდება პირის იძულებითი მიყვანა, ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე, ექსპერტიზის ჩასატარებლად. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისკომიტეტი უარყოფითად აფასებს ამ მოვლენას და გმობს ყოველმხრივ იძულებით ფორმას, არამხოლოდ ექსპერტიზის პროცესზე არამედ სხვა შემთხვევებშიც (მკურნალობა, სტაციონარში მოთავსება) სახელმწიფოს მოუწოდებს მსგავსი კანონმდებლობის გაუქმებისკენ სადაც სიტყვა იძულებითი დომინირებს .მიიჩნევა იძულებითი ფორმით განხორციელებული ქმედება დადებითის ნაცვლად უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს და შესაბამისად უარყოფით შედეგამდეც მივყავართ. მსგავსი ქმედებების განხორციელების სწორ ფორმად კომიტეტი მიიჩნევს თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის პირობებში მიღებულ შედეგს. ამ კუთხით მსგავსი შედეგი არამხოლოდ საქართველოში თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს რაც ითვალისწინებს იძულების წესით ექსპერტიზის ჩატარებას .

ექსპერტიზას ატარებს სსიპ. ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო. საექსპერტო დასკვნაზე გადაწყვეტილებას იღებს 4 ექსპერტისაგან შემდგარი მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელშიც შედის ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, სოციალური მუშაკი და ოკუპაციური თერაპევტი. ²⁰ ექსპერტიზის შედეგად ჯგუფი იღებს დადებით ან უარყოფით დასკვნას.

პრობლემურია სასამართლოს დამოკიდებულება ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით. სასამართლო ძირითადად არ ასაბუთებს თუ რატომ იზიარებს ექსპერტიზის მოსაზრებებს მხარდაჭერის ფარგლებთან დაკავშირებით, არ აკეთებს მათ შეფასებას²¹ და არც იმას თუ რატომ არ იზიარებს გაუზიარებლობის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასამართლოს ქცევა თვითნებურია და არ არის დაფუძნებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებაზე.

²⁰საქართველოს კანონი „ ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ" მუხლი 20

²¹ცაგერის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის N 2/23-15 გადაწყვეტილება

დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე ანუ სავალდებულო დაცვა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხები საქართველოში, გარკვეულწილად პრობლემას წარმოადგენდა ვინაიდან სწორი ფორმით ვერ მოხერხდა ადამიანთა ცნობიერებაში ამ საკითხთან მიმართებით არსებული ტერმინების გაგება, როგორც პოსტსაბჭოურ ქვეყანაში, განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა, რამდენადაც საბჭოთა მენტალობა ტერმინ „ინვალიდის“ ე.წ უვარგისის გამოყენებით ერთმნიშვნელოვნად ბლოკავდა ამ ადამიანების ინდივიდუალურ განვითარებასა და საჭიროების გამოვლენას. შესაძლოა კრიტიკული თვალსაზრისით რამდენადმე მართლა გვექონდეს პრობლემები მსგავსი ტიპის ადამიანებთან მიმართებაში, ვინაიდან მკაცრად დგას საკითხი ყოველგვარი უფლებების დაცვის კუთხით მაშინ გასარკვევია თუ არის ჩვეულებრივი ადამიანების უფლებებიც იმ დონეზე დაცული რომ მათ უფლებების დაცვაზე გადავიდეთ შემდგომ. როგორც ჯანმრთელობის მხრივ, ასევე საზოგადოებაში ინტეგრაციის კუთხით, შრომით ურთიერთობებში, საარჩევნო სისტემაში და ა.შ ვხვდებით თუ არა ქმედუნარიან ადამიანებთან მიმართებით პრობლემებს. ცალსახად ორივე ტიპის საზოგადოებაში გვაქვს ხარვეზები თუ კონკრეტულ რომელიმე სეგმენტთან მიმართებაში. სახელმწიფოს უპირატესობას რა უნდა წარმოადგენდეს? დაცვა ადამიანების ვინც შესაძლოა სრულყოფილად ვერ განახორციელონ კონკრეტული ქმედებები თუ სრულყოფილად მოაზროვნე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ უპრობლემო ადამიანების უფლებათა დაცვა. კონსტიტუციის თვალსაზრისით თანასწორობის პრინციპი ხომ არ ირღვევა და ხომ არ გვაქვს რომელიმე მხარის დაკნინების და უპირატესობის მინიჭების ფაქტები.

ძირითადი უფლების დაცვის სფეროში სახელმწიფოს ჩარევის ფაქტის დადგენა კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელების მნიშვნელოვანი საფუძველია. ამიტომ უნდა გაირკვეს, თუ რა შემთხვევაში აქვს ძირითად უფლებაში ჩარევას ადგილი. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი თავისებურებები იკვეთება საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში.

საქართველოს კონსტიტუცია რომლის მე -14 მუხლიც აღიარებს თანასწორობას, უმთავრეს დოკუმენტად განიხილება შშმ პირთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ასევე მნიშვნელოვან დოკუმენტად მიიჩნევა კანონი „შშმ პირთა დაცვის შესახებ“ , რომელიც ვფიქრობ, რომ გადახედვას საჭიროებს გარდა ამისა, არსებობს მთელი რიგი კანონები რომლებიც არეგულირებს სოციალურ, ეკონომიკურ, დისკრიმინაციულ თუ სამედიცინო საჭიროების სამართლებრივ მხარეს. მიუხედავად საკანონმდებლო ნორმების სიმრავლისა და თეორიული სიძლიერისა, კვლავაც დაბალია პრაქტიკული გამოყენების მაჩვენებელი, რაც რეალურად აფერხებს შშმ პირთა განვითარებისა და ინტეგრაციის შესაძლებლობას. თუ გავავლებთ პარალელს ქმედუნარო , შეზღუდულ ქმედუნარიან და სრულად ქმედუნარიან პირებს შორის კანონმდებლობის სიუხვის მიუხედავად სამივე საკითხთან მიმართებაში იკვეთება პრობლემები .

მართალია,ბოლო პერიოდში აქტუალურად დაიწყო სამართლებრივი ბრძოლა დისკრიმინაციული ნიშნების წინააღმდეგ,მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ რჩება პრობლემები.რაც სახელმწიფოს მიერ დაცვის თვალსაზრისით დაბალი განვითარების მაჩვენებელია. შესაძლოა ინსტიტუტის სიახლეს დავაბრალოთ ყოველივე ან კანონმდებლობის სისუსტეს.

მხარდამჭერთა საქმიანობაზე ზედამხედველობა ეკისრება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, მხარდაჭერის მიმღების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ზედამხედველობის ფორმებია გეგმიური შემოწმება და ფაქტობრივიზედამხედველობა. ზედამხედველობის მიზანია, მხარდამჭერის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებითა და საქართველოს კანონმდებლობით, მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების კონტროლი, მხარდაჭერის მიმღების უნარების განვითარების შეფასება და შესაბამისი რეაგირება.²²

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მხარდამჭერების საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს შემდეგი პერიოდულობით: 6 თვეში ერთხელ; სასამართლოს მიერ დადგენილი პერიოდულობით; ასევე, შემხვედრი

²²საქართველოს სამოქალაქო კოდექსი .მუხლი 1035(2)

აუცილებლობიდან გამომდინარე, თუ არსებობს ინფორმაცია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩარევის საჭიროების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363-19-ე მუხლის თანახმად „ პირს რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხი განიხილება, უნდა ჰყავდეს ადვოკატი" არნიშნული ნორმა არის ერთადერთი სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რომელიც აწესებს პირთა მიმართ სავალდებულო დაცვას.

მხარდაჭერის მიმღები პირების სავალდებულო დაცვას ახორციელებენ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები სამოქალაქო-ადმინისტრაციული მიმართულებით. სამსახურის ბიუროებს მოსამართლეები უზრუნველნიან მიმართვას მხარდაჭერის მიმღები პირისთვის ადვოკატის დანიშვნის შესახებ .

სავალდებულო დაცვის დროს ადვოკატი ენიშნება მხარდაჭერის მიმღებ პირს. მხარდაჭერის დასანიშნად კი იურიდიული დახმარების ბიუროს მიმართავს მხარდამჭერი, ამ და სხვა შემთხვევებში უნდა გავითვალისწინოთ ინტერესთა კონფლიქტის არსებობის რისკი. „ იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად , სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია იმ შემთხვევაში თუ პირი არის გადახდისუუნარო და მისთვის იურიდიული დახმარების გაწევა მიზანშეწონილია , საქმის სირთულიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე. როდესაც გადახდისუუნარო პირი იურიდიული დახმარების ბიუროს მიმართავს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადების შედგენის მოთხოვნით, სამსახურის წარმომადგენელი ვალდებულია შეუდგინოს მას განცხადება.

ინტერესთა კონფლიქტის რისკი არსებობს მაშინაც , როდესაც მხარდამჭერ პირად ინიშნება სოციალური სააგენტოს წარმომადგენელი, ვინაიდან, სოციალური მომსახურების სააგენტოს ევალება კონტროლი სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებაზე და გამოდის, რომ სააგენტო კონტროლს ახორციელებს თავის თანამშრომელზე.

ამ და სხვა გარემოებებზე დაყრდნობით სახელმწიფოს როლი არც თუ იზე მდალია. მიუხედავად დაცვის მექანიზმების არსებობისა, დახმარების გაწევის სამართლებრივად თუ ბლანკეტური შეფასების ფურცელზე დაყრდნობით სხვა პუნქტების გათვალისწინებისა არის პრობლემები რაც დასარეგულირებელია და საჭიროებს მეტად ჩახედვას და მორგებას კონკრეტულ პირებზე.

მხარდაჭერის მიმღების გარიგებაუნარიანობა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი პირის ქმედუნარიანობის შეფასებისას არის მისი გარიგებაუნარიანობა. ცვლილებამდესკ ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობაზე საუბრისას განმარტავადა,რომ ნების გამოვლენის ნამდვილობაზე შეიძლება გავლენა არმოახდინოს გარიგების დადები პირის გარდაცვალებამ ან ქმედუნარიანობის დაკარგვამ,თუ კი ეს მოვლენები დადგა ნების გამოვლენის შემდეგ.

კანონში განხორციელებულ ცვლილებებამდე ქმედუნარო პირს ნებისმიერი სახის გარიგების დადების შესაძლებლობა ქონდა შეზღუდული. შეზღუდვაში მოიაზრებოდა თუნდაც სამგზავრო ბილეთის აღება სატრანსპორტო საშუალებაში, ასევე მარკეტში ან თუნდაც სხვა ობიექტში ნებისმიერი წვრილმანის სურვილისამებრ შემენა, ამ ყველაფრის ფონზე არ ხდებოდა განხილვა იმის თუ ქონდა ქმედუნაროდ მიჩნეულ პირს ჩადენილი ქმედების გაანალიზების უნარი, იცოდა თუ არა მან გარიგების არსი და შედეგები. კანონის ხარვეზამდე მივდივართ როდესაც ქმედუნარო პირის ნაცვლად გარიგების დადება შეეძლო მის მეურვეს,რომლის მიერ დადებული გარიგება მიიჩნეოდა უპირობოდ ბათილად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, 51-ე მუხლის მე-3 ნაწილს დაემატა მითითება 1293 მუხლის მე-4 ნაწილზე,რომლის მიხედვითაც გამონაკლის შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს,რომ მხარდაჭერის მიღების ნების გამოვლენა ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ობიექტურად შეუძლებელია და მის ნაცვლად გადაწყვეტილების

მიღების აკრძალვა მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს მხარდამჭერის მიმღებს, სასამართლო მხარდამჭერს უფლებას აძლევს, მხარდაჭერის მიმღების სახელით, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, დადოს აუცილებელი გარიგებები.

58-ემუხლი რომელიც დაემატა კოდექსს ცვლილებების შემდგომ განმარტავს, რომ მხარდაჭერის მიმღების მიერ დადებული გარიგება მერყევად ბათილია და გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომ მხარდამჭერი მოიწონებს თუ არა მას, თუმცა გამონაკლისის სახით გვაქვს შემთხვევა თუ მხარდამჭერის მიმღები ამ გარიგებით იღებს სარგებელს ამ შემთხვევაში არ ვეხებით მის სურვილს მოეწონება თუ არა მას ეს. როდესაც დგება საკითხი გარიგების ნამდვილობის დადგენის აუცილებელია გაირკვეს პირს თუ ყავს სასამართლოს მიერ დანიშნული მხარდამჭერი. სამოქალაქო კოდექსის ახალ კომენტარში 58¹ მუხლის განმარტებისას თამარ კორძაია აღნიშნავს, რომ მხარდამჭერის მიერ გარიგების მოწონებაში იგულისხმება იმის დადგენა, ნამდვილად შეესაბამება თუ არა მხარდაჭერის მიმღების ნებასმის მიერ დადებული გარიგება და რამდენად არის გარიგებაში ასახული ის პირობები, რა პირობებითაც მხარდამჭერს სურდა გარიგების დადება. თუ მხარდამჭერი მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების დადების შემდეგ აღმოაჩენს, რომ მხარდაჭერის მიმღებმა არსებითი შეცდომა დაუშვა გარიგების ფორმაში, შინაარსში ან ვერ გათვალა შესაძლო შედეგები, მან უნდა განუმარტოს მხარდამჭერის მიმღებს გარიგების ნამდვილი არსი, მისი სამართლებრივი შედეგები და შეცვლების შესაძლებლობა. აღნიშნული განმარტების შემდგომ, მხარდაჭერის მიმღებს შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილად ცნობა.²³ ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით მართალია გვაქვს ინფორმაციები, აქსევე განმარტება რომელიც სრულიად გასაგებადაა მოცემული თუმცა სამწუხაროდ აღნიშნული განმარტება მხოლოდ დოქტრინალურია და იგი კანონმდებლობაში გათვალისწინებული არ არის. მხარდამჭერის როლი ვფიქრობ ინსტიტუტის განვითარებასთან ერთად უფრო უნდა განვითარდეს, კანონმდებლები თუ განსაზღვრავენ გარკვეულ ქმედებებში მხარდამჭერების როლს უნდა მოწესრიგდეს გარიგების დადების შემდგომაც, მისი ნამდვილობის შემოწმებისას. მხარდამჭერის მიმღებ პირს, კონკრეტულ სუბიექტს არ უნდა ერთმეოდეს შესაძლებლობა მისი ნების შესაბამისად განისაზღვროს

²³ იხ: თ.კორძაია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბ 2017, გვ. 343, პ. 3-4

ხელშეკრულების და მისი შედეგების ნამდვილობა. ამიტომ მათ როლს სწავლობდასთან ინტეგრაციაში კიდევ უფრო გავზრდით დახელს შევუწყობთ მსწავლავს ტიპის საკითხების დარეგულირებას .

განხორციელებული ცვლილებების შედეგად მთლიანად შეიცვალა კანონმდებლობის მიდგომა ამ საკითხისადმი. სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესვლა აღარ არის დაკავშირებული პირის ქმედუნარიანობის სტატუსთან. მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების დადების ინსტიტუტი შინაარსობრივად დაემსგავსა არასრულწლოვნის მიერ დადებული გარიგების სამართლებრივ რეგულირებას. წერილობითი ხელშეკრულების დადების დროს კანონი ითვალისწინებს მხარდამჭერის მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურებას. აღნიშნული ხელმოწერა გარიგების ფორმის ნაწილად განიხილება და მისი დაუცველობა იწვევს ხელშეკრულების ბათილობას. სამოქალაქო კოდექსი ანალოგიით იყენებს ასევე არასრულწლოვანთან დადებული გარიგებისთვის კოდექსის 64-ე და 66-ე მუხლებით დადგენილ წესებს. კანონმდებელი აღნიშნული მუხლებით იცავს გარიგების მეორე მხარის ინტერესებს და აძლევს მას საშუალებას უარი თქვას მხარდამჭერის მიმღებთან დადებულ ხელშეკრულებაზე მხარდამჭერის მოწონებამდე იმ შემთხვევაში, თუ მისთვის ცნობილი არ იყო, რომ ხელშეკრულებას აფორმებდა მხარდაჭერის მიმღებ პირთან, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ცალმხრივი გარიგება დადებულია სავალდებულო მხარდაჭერის გარეშე ან როდესაც სახეზეა მხარდამჭერის მიერ ფაქტობრივად გარიგების მოწონების ფაქტი, თუმცა მხარდაჭერის მიმღებას არ წარმოადგენს ამის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი და მეორე მხარე ინფორმირებული არ იყო ასეთი წერილობითი განარტების არსებობის თაობაზე. რამდენჯერმე ავლნიშნე ნაშრომში, მოცემული ინსტიტუტის სიახლესთან დაკავშირებით არსებული პრობლემები და მინდა გამოვყო კიდევ ერთი

პრობლემური საკითხი, წერილობით ხელშეკრულებაზე მხარდამჭერის ხელმოწერის სავალდებულოობის საკითხი. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელი „ორმაგ მიდგომას ადგენს ფორმათავისუფალი გარიგებების მიმართ“.²⁴ ამგვარი ხელმოწერის სავალდებულოობით მივდივართ იმ კონდიციამდე, რომ ერთი და იმავე

²⁴ ლ. გვიშანი, ლ. ღვინიაძე, ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC , თბ 2016, გვ. 36

შინაარსის ხელშეკრულება ერთ შემთხვევაში ნამდვილია, მეორე შემთხვევაში კი ბათილი. მაგალითისთვის, თუ მხარდაჭერის მიმღები დადებს ტელევიზორის ნასყიდობის ხელშეკრულებას ზეპირი ფორმით ასეთი ხელშეკრულება იქნება მერყევად ბათილი და მისი ნამდვილობა მხარდამჭერის მოწონებაზე იქნება დამოკიდებული, ხოლო ამავე ტელევიზორის ნასყიდობის წერილობითი ფორმით გაფორმების შემთხვევაში მხარდამჭერის ხელმოწერის არარსებობისას ხელშეკრულება იქნება ბათილი და ფორმის ამ ნაკლს შემდგომში მხარდამჭერის მოწონება ვეღარ გამოასწორებს. შედეგების ამგვარი დიფერენცირება მიუღებელია და საჭიროა საკითხის სხვაგვარი მოწესრიგება. ეს საკითხი პრობლემატურია აგრეთვე იმდენად, რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლომ ქმედუუნარო პირების მიერ დადებული გარიგებების ავტომატური ბათილობის სამართლებრივი შედეგი ქმედუუნარო პირთა უფლებების მომეტებულ შეზღუდვად მიიჩნია.²⁵ შესაბამისად კანონმდებლის მიერ დადგენილი სტანდარტი წინააღმდეგობაში მოდის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან.

მხარდაჭერის მიმღები როგორც ქორწინების სუბიექტი

საქართველოს კონსტიტუციით სამართლის სუბიექტისთვის მინიჭებული სხვადასხვა უფლებებიდან, ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებას ქორწინების უფლება წარმოადგენს. ამ უფლების არსებობით როგორც კანონის თვალსაზრისით ასევე მორალურად ხდება სხვა მრავალი უფლების შექმნა. ამასთანავე გარკვეული შეზღუდვების დაწესება უფლების შეზღუდვა შესაძლოა იყოს ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრა. ადამიანთა განვითარების საზღვრების მიუხედავად აბსოლუტურად ავტონომიური ნების სუბიექტი არ არსებობს, როგორც განვითარებულიცარ უნდა იყოს ადამიანი, ან პირიქით თუ არ გააჩნია რაიმე სახის შეზღუდვა განვითარების მხრივ, მას სჭირდება გარკვეული ბიძგი უფლებათა რეალიზაციისთვის. მხარდამჭერის მიმღებებს აქვთ ისეთი ადამიანური სურვილები, რომლებიც სამართლის სუბიექტის უფლებებთანაა დაკავშირებული.

²⁵ იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება, პ. 21

„მოთხოვნილება, ინტერესი შობს უფლებას და არა მოთხოვნილებათა სამართლებრივად გაცნობიერებული ნება”²⁶ როდესაც კონკრეტულ სფეროში მხარდაჭერის მიმღები პირი ითხოვს საკუთარი ბუნებითი უფლების, ქორწინების უფლების მინიჭებას, იგი ახდენს ზოგადი პრინციპის რეალიზაციას, რომლის თანახმადაც უფლება აქვს არა იმას, ვისაც აქვს ნება, არამედ მას, ვისაც შეუძლია მოითხოვოს სარგებლობა. ხოლო უფლების დაცვის მიზანი კი ამ სარგებლობის დანიშნულების უზრუნველყოფაა. ²⁷ მართალია, ქმედუუნარო პირთათვის ქორწინების უფლების შეზღუდვა მათი არანებაყოფლობითი ქორწინებისა და ქონებრივი ინტერესების დაცვას ემსახურებოდა, მაგრამ გამოიკვეთა მათი დაცვის ნაკლებად შემზღუდავი საშუალებები, რაც წინგადადგმული ნაბიჯია ქართულ კანონმდებლობაში . საქართველოს კონსტიტუციის თანახმად „ ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას .” ოჯახი საზოგადოების ძირითადი უჯრედია, რადგან მის სიმტკიცეზე ბევრად არის დამოკიდებული არა მარტო ოჯახის წევრთა კეთილდღეობა, არამედ, მთელი საზოგადოების წინსვლა და წარმატებაც. მართალია ოჯახური ურთიერთობების ფორმები ისტორიულად ხშირად იცვლებოდა, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა საზოგადოება ცდილობდა ოჯახის განმტკიცებას. ოჯახი რთული საზოგადოებრივი მოვლენაა, რადგან ის წარმოადგენს მეუღლეების, მშობლების, შვილების და მის სხვა წევრთა შორის არსებულ ურთიერთობათა ერთობლიობას.

მოცემული თავი ძირითადი თემიდან გამომდინარე დაეთმოთა ფსიქოსაჭიროების მქონე პირს , როგორც ქორწინების სუბიექტს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ქმედუუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმამდე ქორწინების დამაბრკოლებელ ერთ-ერთ გარემოებად ითვლებოდა „სულით ავადმყოფობის” ან „ჭკუასუსტობის” გამო პირის ქმედუუნაროდ აღიარება, ცვლილებამდე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქორწინების ერთ-ერთი დამაბრკოლებელი გარემოება იმ პირებს შორის ქორწინებაა, რომელთაგან თუნდაც ერთი ფსიქიკური

²⁶ზოიძე ბ. სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში. თბილისი 2013 გვ. 229

²⁷ვაჩიშვილი ა. სამართლის ზოგადი თეორია . თბ. 2010 გვ. 73

აშლილობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ.²⁸ კანონი არ უშვებდა არანაირ გამონაკლის შემთხვევას, ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ქორწინებაში შეცდომით გატარების შემთხვევაში კი ასეთი ქორწინება აუცილებლად ბათილი იყო.²⁹ მაგრამ რეფორმის შედეგად მიღებული მოდელი აუქმებს ქორწინების აკრძალვის ბლანკეტურობას, თუმცა მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი პირების ქორწინებას სპეციფიკურ სამართლებრივ რეგულაციას უქვემდებარებს და განსხვავებულად აწესრიგებს ამგვარი გარიგების თანმდევ შედეგებს.³⁰ ამჟამად პირებს რომლებიც მსგავს მდგომარეობაში იმყოფებიან სასამართლოს მეშვეობით ენიჭებათ მხარდამჭერები, მხარდამჭერის დანიშვნის მთავარ მიზნას კი წარმოადგენს მათთვის ყოველმხრივი დახმარების გაწევა ეს იქნება ნებისმიერი სამოქალაქო საკითხი, მათ შორის საქორწინო ურთიერთობებში მიიღონ მონაწილეობა. მიუხედავად იმისა შშმ პირები რომელთაც ყავთ მხარდამჭერები დანიშნული, მიიჩნევიან ქმედუუნარიანებად თუმცა მათ მაინც ეკისრებათ ვალდებულების სახით მომავალ მეუღლესთან საქორწინო კონტრაქტის დადება, ამ სახით კანონმდებელი ადგენს ქორწინების ნამვილობის აუცილებელ პირობად კონკრეტული ქმედების შესრულებას. მსგავსი ტიპის ხელშეკრულებით მხარდამჭერის მიმღების მეუღლე ეცნობა პარტნიორის ჯანმრთელობის მდგომარეობას და განსაზღვრულ პასუხისმგებლობასაც ინაწილებს მისი მოქმედების მართლზომიერებაზე.³¹

ის ეტაპები რაც მოცემულ თემას თან ახლავს ქორწინების საკითხში კონკრეტულად არის განსაზღვრული საქართველოს კონსტიტუციაში. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით ქორწინება კომპლექსური და რთული სამოქალაქო გარიგებაა, რომელიც მოიცავს როგორც ქონებრივ და არაქონებრივ უფლება-ვალდებულებათა კომპლექსს.³² დაქორწინების თაობაზე გადაწყვეტლება „ფსიქო-სოციალური, ემოციური ფაქტორებით არის განპირობებული“.³³ სადავო

²⁸საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცვლილებების ვერსია, მუხლი 1200

²⁹შენგელია რ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეხუთე, თბილისი 2000. გვ 53

³⁰გვიშიანი ლ. ქმედუუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC, 29, <http://www.osgf.ge/files/2016/Publications/final_1.pdf>, [05.06.2019]

³¹შენგელია რ. ; შენგელია ე. საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2015, გვ. 72

³²იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება, პ. 127

³³ იქვე: პ 90

ნორმების შესაბამისად კი არ ხდება პირის უნარების შემოწმება სოციალური ცხოვრების იმ სფეროს მიხედვით, რომელსაც შეეხება მისაღები გადაწყვეტილება და, ამდენად, უგულვებელყოფილია ქმედუუნაროდ აღიარებული პირების შეუზღუდავი უნარები, რადგან ქმედუუნაროდ აღიარებულ პირთა გარკვეულ კატეგორიას, შესაძლოა, არ ჰქონდეს დაკარგული უნარი, შეიგნოს ქორწინების, როგორც სოციალური აქტის მნიშვნელობა, გაიაზროს ის პირადი და სოციალური შედეგები, რაც ქორწინებას ახლავს.³⁴სასამართლო მსჯელობს ქონებრივი უფლებების საკითხზეც და ამბობს, რომ არსებობს ქმედუუნარო პირის ქონებრივი უფლებების ნაკლებადმზღუდველი საშუალებაც, მაგალითად როგორებიცაა მეურვის ან კომპეტენტური ორგანოს თანხმობის დაწესება, ქორწინების შემოფარგვლა მხოლოდ სოციალური და პირადი შედეგებით, საქორწინო კონტრაქტის სავალდებულოობა და ა.შ. დღევანდელი მდგომარეობით საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მეუღლეთა ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას, ქორწინების რეგისტრაციამდე უნდა დაიდოს , თუ ერთ-ერთი მეუღლე მაინც მხარდაჭერის მიმღებია. საქორწინო ხელშეკრულებისას აუცილებელია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, აგრეთვე მხარდაჭერის ჩაბმა იმ ნაწილში, რომელიც განსაზღვრულია სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით. ნორმა მიზნად ისახავს, მაქსიმალურად აიცილოს თავიდან შესაძლო რისკები, რომლებიც თან ახლავს პირის ქმედუუნარიანობასა და ქორწინებისთვის მზაობას.

რაც შეეხება მხარდაჭერის მიმღებთან ქორწინების ხელშეკრულების ბათილობას, საქმის განხილვაში აუცილებლად უნდა ჩაებას მხარდამჭერი. გამონაკლის შემთხვევაში როცა მხარდამჭერი და მეუღლე ერთი და იგივე პირია, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში უნდა ჩაერთოს მეურვე და მზრუნველი. რეფორმით დამკვიდრებული მხარდაჭერის კონცეფციის მიზანია, უზრუნველყოს უპირატესად მხარდაჭერის მიმღების ინტერესებზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც მთლიანად დაეყრდნობა პირის ინდივიდუალურ შეფასებას და მხოლოდ მისი შედეგების საფუძველზე განსაზღვრავს მხარდაჭერის საჭიროებასა და ინტენსივობას.

³⁴ იქვე: პ 91

ამდენად, მხარდაჭერის მიმღები პირის ქორწინების უფლების სტანდარტი, ქორწინების განსხვავებული რეგულაციის დადგენით არათუ ვერ აღწევს მის მიზანს, დაიცვას მხარდაჭერის მიმღები პირი, არამედ ეჭვქვეშ აყენებს მისი ინტერესების სათანადო დაცვის შესაძლებლობას.

შრომის უფლება

კაცობრიობის ისტორიის არსებობის მანძილზე პრიორიტეტული ადგილი უკავია ადამიანის უფლებებს. ტერმინი ადამიანის უფლებები დღითი დღე იზრდება და მეტ მნიშვნელობას იძენს. განვითარების ეტაპებზე უფრო მეტი მოთხოვნილებები და უფლებები წარმოეშვათ ადამიანებს, რომელთა დაცვას და მექანიზმების შემუშავებას მუდმივად ითხოვენ. ადამიანის უფლებები უზრუნველყოფს სახელმწიფოში მატერიალურ სიკეთეთა სამართლიან გადანაწილებას საზოგადოების თითოეულ წევრზე. ამჯერად ერთ-ერთ სოციალურ უფლებას, შრომის უფლებას განვიხილავთ და ასევე შევაჯერებთ კანონმდებლობის რეგულირების ფარგლებს და არსებულ ხარვეზებს.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტში ნათქვამია, რომ შრომითი უფლებები, “შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები” დაცულია კანონით. თუმცა რა ჩანაწერი არსებობს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა შრომის უფლებებზე ეს წარმოადგენს დღევანდელი თემის ძირითად მიმართულებას. გამომდინარე იქედან, რომ ქმედუნარიანობის რეფორმამდელი მოდელი კრძალავდა ნებისმიერი გარიგების დადებას, ქმედუნარო პირს არ გააჩნდა არც შრომითი ხელშეკრულების დადების და შესაბამისად შრომითი უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა არც კერძო და არც საჯარო სექტორში. ხოლო საჯარო სამსახურის შესახებ კანონი პირდაპირ კრძალავდა ქმედუნარო პირის დასაქმებას, არცინდივიდუალურ განხილვას ახდენდა და არც იმის შეფასება ხდებოდა პირს რომელსაც მინიჭებული ქონდა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის სტატუსი მხარდამჭერს საჭიროებდა კონკრეტულ ქმედებებში თუ სრულიად ყველა ურთიერთობის განხორციელებაში. შრომისა და დასაქმების უფლების

სრულყოფილად რეალიზების მიზნით, სახელმწიფოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები და გარდა, საკანონმდებლო დონეზე შრომითი უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის უზრუნველყოფისა, მათ უნდა შეიმუშავონ შესაბამისი ტექნიკური და პროფესიული ორიენტაციის პროგრამები.

ქმედუნარიანობის სამოქალაქო კოდექსისეული გაგების შეცვლამ რა თქმა უნდა განაპირობა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისთვის შრომის უფლებისა და შრომის კოდექსით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების მინიჭება. განსხვავებულად მოწესრიგდა საკითხი საჯარო სამსახურში დასაქმებასთან დაკავშირებით. შეიცვალა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები. ცვლილება შევიდა 17-ე მუხლის 6 ქვეპუნქტში, რომლის მიხედვითაც საჯარო სამსახურში ვერ დასაქმდებოდნენ ქმედუნაროდ აღიარებული პირები. ცვლილებებით გამოირიცხა იმ პირთა დასაქმების შესაძლებლობა, რომლებიც სასამართლომ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო და სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. კანონს დაემატა ასევე მუხლი, რომლითაც განისაზღვრა 2015 წლის 1 აპრილამდე ქმედუნაროდ ცნობილ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა გარდამავალ პერიოდში. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონმა გამორიცხა მათი საჯარო სამსახურში მიღება ინდივიდუალური შეფასების განხორციელებამდე. მოქმედი კანონმდებლობით დადგინდა ასევე პოლიტიკური თანამდებობის პირების, მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების, სახალხო დამცველის, ბიზნესომბუდსმენის, საერთო სასამართლოებში დასაქმებული პირების და სხვა საჯარო თუ პოლიტიკურ თანამდებობაზე დანიშნულთა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეწყვეტის სავალდებულოობა სასამართლოს მიერ მათი მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემთხვევაში, გარდა სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვაგვარად განსაზღვრული შემთხვევისა.³⁵

³⁵იხ: ლ. გვიშანი, ლ. ღვინიაძე, ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC, თბ 2016, გვ. 37

მნიშვნელოვანია გავიაზროთ, ევროპის სახელმწიფოების გამოცდილება, კერძოდ, ის მექანიზმები და პროგრამები, რომელიც მათ შეიმუშავეს შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის შრომისა და დასაქმების უფლებით სათანადოდ სარგებლობის ხელშესაწყობად.

მაგალითად, შვედეთის, ავსტრიის, ესპანეთის, დანიის, გერმანიის კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ მხარდაჭერას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მათი დასაქმების მიზნით. შრომით კანონმდებლობაში არსებული მაღალი სტანდარტები და კანონით დადგენილი სხვადასხვა სახის ინიციატივები მიზნად ისახავს შემცირებული სამუშაო შესაძლებლობების კომპენსირებას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესაძლებლობის გაზრდას სამუშაოს შოვნისა და შენარჩუნების მიზნით. მაგალითად, შვედეთში სამუშაო ადგილებზე მისაწვდომია პერსონალური მხარდაჭერა მათთვის, ვისაც გარკვეული ფუნქციური დარღვევა გააჩნიათ და მხარდაჭერას საჭიროებენ კვების, კომუნიკაციის, ჩაცმის, პირადი ჰიგიენის ან სახლიდან გასვლისას. მაგალითად, ესპანეთში სპეციალური საკანონმდებლო რეგულაციები ადგენს კვოტებს, რომლის თანახმადაც, საჯარო და კერძო დაწესებულებები, რომელთაც 50-ზე მეტი პირი ჰყავთ დასაქმებული, ვალდებული არიან, საწარმოში დასაქმებულთა 2% მაინც იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. ავსტრიაში კვოტების პირობების თანახმად, ყოველი 25-ე დასაქმებული სავალდებულო წესით უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. გერმანიაში დადგენილია, რომ ყოველი 20 დასაქმებული თანამშრომლიდან 5% შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი უნდა იყოს. უნგრეთის კანონმდებლობის თანახმად, თუ კომპანიაში 25 ადამიანზე მეტი მუშაობს 5% შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი უნდა იყოს.³⁶

ამ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კანონმდებლობა ითვალისწინებს სანქციონების მექანიზმებს დამსაქმებელთათვის.

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს პრაქტიკა, როდესაც დასაქმების ხელშესაწყობად იქმნება დასაქმების სპეციალური ცენტრები. ისინი მომხმარებლებს აძლევენ რჩევებს დასაქმების, კანონმდებლობის და პრაქტიკული შესაძლებლობის

³⁶<https://emc.org.ge/ka/products/shromis-ufleba-shezghuduli-shesadzleblobis-mkone-pirebistvis> [18.06.2019]

შესახებ. ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სამუშაოს შეთავაზების და სამუშაო პირობების თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალური საწარმო. თუ მივუბრუნდებით საქართველოს რეალობას და ამ საკითხითხთან მიმართებით მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროსთან ორგანიზებით შემუშავდა ე.წ „ჯობქოუჩების“ პროგრამა, პროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასაქმება. ამ პროგრამის ფარგლებში ხდება კონკრეტული პირების მოძიება, რომლებიც ასრულებენ შუამავლის როლს დამსაქმებელსა და დასაქმების მაძიებელ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შორის. „ჯობქოუჩები“ გადიან გადამზადებას, ერთიმხრივ, დამსაქმებელთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევების, ხოლო, მეორემხრივ, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებთან სწორი მიდგომის, ტერმინოლოგიის შერჩევისა და სხვა სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებით.³⁷ მსგავსი პირები განსაკუთრებულ მიდგომებს საჭიროებენ, უნდადავანახოთ მათ რეალობა სწორიმხრიდან და კომუნიკაცია უნდა დავამყაროთ სწორ ფორმაში, რათა სწორი შედეგი მივიღოთ მათთან სწორი დამოკიდებულებით. ვინაიდან ქმედუნარიანობის სისტემის განხორციელებაში სამი მთავარი რგოლი მონაწილეობს. ესაა სასამართლო სისტემა, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს. ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც პროცესის აღსრულებასა და მონიტორინგზეა პასუხისმგებელი და ექსპერტიზის ბიუროში არსებული მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელიც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის სხვადასხვ აუფლების გამოყენების შესაძლებლობებს უნდა სწავლობდეს. მიუხედავად ამისა სასამართლო გადაწყვეტილებებში მაინც არსებობს ხარვეზები, ეს სისტემა სრულიად მოუმზადებელია რეფორმისთვის, როგორც ცოდნის, ასევე კომპეტენციის მხრივ. მათი გადაწყვეტილებების უმრავლესობა არის დაუსაბუთებელი და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ფლების ჩანაცვლებაზე ორიენტირებული. სტატისკა შეგვიძლია დავაბრალოთ ინსტიტუტის სიახლეს და ბოლომდე გაუმართაობას თუმცა მსგავსი გადაწყვეტილებები განვითარებას შუშლის ხელს, ასევე კანონის სისუსტეს

³⁷ დ. დოლიჯაშვილი, ნ. ედიშერაშვილი ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების დეინსტიტუციონალიზაცია, თსუ სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, თბ 2016, გვ. 75

გაუსვამს ხაზს. სწორედ ამიტომ და ბევრი სხვა მიზეზის გამო უნდა მოხდეს ძალზე დიდი ყურადღების დათმობა და დახვეწა.

დამოუკიდებელი ცხოვრება თავად ამ ადამიანებისთვისაც დიდი გამოწვევაა, რადგან ისინი წლებისგანმავლობაში მიჩვეულები იყვნენ, რომ მათ მაგივრად გადაწყვეტილებებს სხვა იღებდადა შეიცვალა დადებითად ყოველივეს, თითოეული კანონმდებლის, იურისტის, არასამთავრობო ორგანიზაციისა თუ მოქალაქის ვალია კანონმა შეასრულოს თავისი არსი და მნიშვნელობა.

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება

სამართლის წინაშე თანასწორობა არის ადამიანის უფლებების დაცვის ძირითადი, ზოგადი პრინციპი და აუცილებელია სხვა ადამიანის უფლებებით სარგებლობისთვის.³⁸მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება ბევრ სხვა უფლებასთან ერთად თავის თავში მოიცავს პირის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის, საქმის განხილვისას თავისი მოსაზრებების გამოთქმისა და პირადად ან დამცველის მეშვეობით თავის დაცვის უფლებას.³⁹ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა რომლის მეშვეობითაც ხდება არამხოლოდ ჩვეულებრივი ცხოვრებისეული მოვლენებიდან გამომდინარე რაიმე სახის დაცვა, არამედ დაიცვან საკუთარი თავი კუთვნილი უფლებების დარღვევისგან, მოითხოვონ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, შეასრულონ აღმასრულებელი ანგარიშვალდებული უფლებამოსილება და შეძლონ საკუთარი თავის დაცვა.

მოცემული თემა ვინაიდან ეხება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა სამართალსუბიექტურობას, ყოველი ზოგადი მიმოხილვიდან დავკონკრეტდები უშუალოდ კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში მსგავსი პირების უფლებებსა და მათი შეზღუდვის ფარგლებზე.

ქმედუნარო პირებს შეზღუდული ჰქონდათ, როგორც სასამართლოსთვის მიმართვის, ისე საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლებები.ყველაზე ცუდი ამ

³⁸შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი/C/GC/1 „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ 19 მაისი, 2014 წელი

³⁹იხ: *მერაბ ტურავა* (ავტორთა კოლექტი), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ 2013, გვ 518

ყველაფერში ის იყო მათ ისიც კი არ შეეძლოთ გამოჯანმრთელების შემთხვევაში მიემართათ სასამართლოსთვის ქმედუნარიანობის აღდგენის მოთხოვნით. ეს ერთგვარი ზეწოლაც კი იყო კანონმდებლის მხრიდან.

„ფსიქოსოციალური შეზღუდვების მქონე პირებს განსაკუთრებით ეხებოდათ და ჯერაც ეხებათ გადაწყვეტილების მიღებაში ჩანაცვლების რეჟიმები და სამართალუნარიანობაზე უარის თქმა. კომიტეტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, ან რაიმე დარღვევის (ფიზიკური თუ მგრძნობელობითი დარღვევის) არსებობა არასდროს უნდა გახდეს საფუძველი სამართალუნარიანობაზე ან ნებისმიერ იმ უფლებაზე უარის თქმისთვის, რაც გათვალისწინებულია მე-12 მუხლით. ყველა ქმედება რაც მიზნად ისახავს ან იწვევს მე-12 მუხლის დარღვევას უნდა აღიკვეთოს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სრულის ამართალუნარიანობის აღდგენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სხვებთან თანასწორ პირობებში.“⁴⁰

წინ გადადგმული ნაბიჯი ამ საკითხთან მიმართებაში აღმოჩნდა რეგულირება რომელიც 2014 წლის 8 ოქტომბრისიმ გადაწყვეტილების საფუძველზე შეიცვალა, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა ქმედუნარო პირის მიერ ქმედუნარობის აღდგენის მიზნით სასამართლოსთვის მიმართვისა და ქმედუნარიანობის საკითხის განხილვის პროცესში საკუთარი თავის წარმოდგენის შესაძლებლობას. პროცესის მიმდინარეობისას მოპასუხეთა მიერ სარჩელის ამ ნაწილში ცნობის მიუხედავად, სასამართლომ საკმაოდ ვრცელი მსჯელობა განავითარა და აღნიშნა, რომ ქმედუნარო პირისთვის სასამართლოსთვის მიმართვისა და საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა ორ ძირითად მიზანს ემსახურება. ესენია: პროცესის ეკონომიურობა და სასამართლოს ხელოვნური გადატვირთვის თავიდან აცილება, რაც გულისხმობს სასამართლოს დაცვას დაუსაბუთებელად და უსაფუძვლოდ ინიცირებული სამართალწარმოებებისგან და სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება.⁴¹ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულნი მართლაც წარმოადგენენ დაცვის ღირს ინტერესს, სასამართლოს განმარტებით

⁴⁰შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია 19 მაისი, 2014 წელი http://nihr.freeuni.edu.ge/uploads/files/CRPD%20Comment_GEO.pdf [

⁴¹იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება, პ. 148

„ქმედუუნაროდ აღიარებული პირის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა უფლებაში ჩარევის არათანაზომიერ საშუალებას წარმოადგენს.“⁴²

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება ყველა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისათვის კონვენციით გარანტირებულ უფლებებს წარმოადგენს, განურჩევლად პირის სტატუსისა. უფლება მოიცავს სასამართლოებსა და სამართალწარმოების სხვა პროცესებში მათ პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაწილეობის შესაძლებლობას, დაუბრკოლებლად სხვებთან თანასწორ პირობებში ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია - ყველა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამართლის წინაშე თანასწორად აღიარების უფლება მოქმედებს „ყველგან“.

ქმედუუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმამდელი მოდელი აბსოლუტურად ზღუდავდა ქმედუუნარო პირისთვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას. შეზღუდვის გამო, სახეზე იყო ადამიანის სხვა ფუნდამენტური უფლებების შელახვის საფრთხე, მათი დაცვის მექანიზმზე ხელმისაწვდომობის არსებობიდან გამომდინარე.

ამრიგად, რეფორმის პოზიტიური შინაარსის მიუხედავად, მოქმედი კანონმდებლობა მოიცავს ქმედუუნაროდ აღიარებული პირების სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ურთიერთგამომრიცხავ რეგულაციას, რაც უფლების რეალიზების დამაბრკოლებელ გარემოებებს წარმოადგენს. კონკრეტულად: სასამართლოსთვის მიმართვის უფლება მიენიჭათ 2015 წლის 1 აპრილამდე ქმედუუნაროდ ცნობილ პირებს, თუმცა ამ კუთხით ახლებური რეგულირება პრობლემური და ურთიერთგამომრიცხავია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 451-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს 2015 წლის 1 აპრილამდე ქმედუუნაროდ ცნობილი პირებს მიერ სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას, ამავე მუხლის მესამე ნაწილი კი ადგენს მოსამართლის ვალდებულებას არ მიიღოს სარჩელი, თუკი იგი შეტანილია ქმედუუნარო პირის მიერ მის ინდივიდუალურ შეფასებამდე. აღნიშნული წინააღმდეგობა ნორმებს შორის შესაძლოა გახდეს უფლების

⁴²იქვე: პ. 154

რელიზაციის დამაბრკოლებელი საშუალება, ამიტომ აუცილებელია ამ უფლების გამყარება, გამარტივება და დახვეწა მოხდეს. რათა კანონმა აღჭურვოს და არა პირიქით დაუქვეითოს რაიმე სახის უფლება. მითუმეტეს უფრო მეტი რესურსი და შესაძლებლობა გვაქვს ამ კუთხით განვითარებისთვის და მაქსიმალურად უნდა ჩამოვაცალიბოთ. ბევრი ინოვაცია განიცადა ამ ახალმა ინსტიტუტმა , რიგ საკითხებში გადაიდგა წარმატებული ნაბიჯები. ხოლო იქ სადაც ყველაზე მნიშვნელოვანია და ეხება კანონს, სამართალს და უფლებების დაცვას სამართლებრივი ფორმით ბევრად მეტი დახვეწა და მორგება სჭირდება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისთვის.

საარჩევნო უფლება

ქმედუნარო პირებს არ გააჩნდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ამ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ის ფაქტი, რომ ქმედუნარო პირისთვის საარჩევნო უფლების შეზღუდვის მიზანი იყო იმ პირების უფლების შეზღუდვა რომელთაც არ გააჩნდათ სრულად გაანალიზება თავიანთი ქმედების ,მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება და განსჯა ,აქედან გამომდინარე მიიჩნეოდა შესაძლო უარყოფითი შედეგის მომტანად სახელმწიფოსთვის ხელისუფლების ფორმირების პროცესზე მათ მიერ გაკეთებული არჩევანი. მითუმეტეს თუ იქნებოდა სტატისტიკის გათვალისწინება მსგავსი ტიპის ადამიანთა დიდი რაოდენობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება რომელიც შეფასდებოდა არაადეკვატურად მიღებულად, ან დადგინდებოდა მსგავსი ტიპის არჩევანი იძულებით, სხვისი ნება სურვილის სასარგებლოდ გაკეთებულად მივიდოდით უარეს შედეგამდე. ამ საფუძველს მოკლებული ფაქტებიდან გამომდინარე მოხდა გადაჭრით უარის თქმა ყველა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირისათვის .საქართველოს კანონმდებლობა არ ახდენდა იმის შეფასებას, თუ რა უნარები ჰქონდა შეზღუდული პირს და რა ტიპის გადაწყვეტილების მიღება არ შეეძლო მას.შეზღუდვაში მოიაზრებოდა თუ არა რაიმე გარკვეული უნარის შეზღუდვა თუ სრულიად ყველა ასპექტში. ესეც ცალსახად გაურკვეველი იყო კანონმდებლის მიერ.

აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

- ქართველმა კანონმდებელმა რეფორმების განხორციელებისას გაიზიარა კონვენციისეული მიდგომა და მხარდაჭერის მიმღებ პირებს მიანიჭა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ცვლილებები შევიდა საქართველოს საარჩევნო კოდექსში. 2016 წლის არჩევნები ყველასგან განსხვავებული აღმოჩნდა იმით რომ , ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებსაც მიენიჭათ უფლება ხმის მიცემის.ეს ის დადებითი ცვლილებაა, რაც საქართველოში ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის ფარგლებში განხორციელდა. როდესაც ვსაუბრობთ უკვე მინიჭებულ უფლებაზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის შეზღუდვები რაც დაწესდა საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით . უნდა გავარკვიოთრას ნიშნავს მხარდამჭერის მიმღები პირის აქტიური საარჩევნი უფლება :
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს იმ ქვეყნის ყველა მოქალაქეს, მისი სამართლებრივი სტატუსის (ქმედუნარობა, მხარდაჭერისმიღება) მიუხედავად. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეზღუდებათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლო მქმედუნარობად ცნო[3]და არჩევნების დღისთვის არაქვს მხარდაჭერის მიმღები პირის სტატუსი ასევე იმ მხარდაჭერის მიმღებ პირებს, რომლებიც „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ სქართველოს კანონის შესაბამისად, მოთავსებულნი არიან სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში[4].
- ყველა სხვა მხარდაჭერის მიმღებად ცნობილ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს უფლება აქვს, დამოუკიდებლად, შეუფერხებლად და სხვების თანასწორად განახორციელოს აქტიური საარჩევნო უფლება.
- იმ გამონაკლის შემთხვევაში, როცა მხარდაჭერის მიმღებად ცნობილ პირს, სასამართლო გადაწყვეტილებით, არჩევნებში მონაწილეობის

განსახორციელებლად, დანიშნული ჰყავს მხარდამჭერი, იგი შესაბამის მხარდაჭერას იღებს ასეთი უფლებამოსილების მქონე პირის მხრიდან, რათა თავისუფლად გააკეთოს არჩევანი.⁴³

თუ დეტალურად შევაფასებთ მოვლენებს, მხარდაჭერის დანიშვნის შემთხვევაში იმ პირებს რომელთაც სასამართლოს მიერ განესაზღვრებათ მხარდამჭერი მათ უნდა უზრუნველყონ გააცნონ მხარდასაჭერ პირებს მათი უფლებები, არჩევანის გაკეთების შინაარსი თუ რა მნიშვნელობა ენიჭება მათ ქმედებას , საარჩევნო სუბიექტების პროგრამები და უშუალოდ კენჭისყრის პროცედურა თუ რა სახისაა და მიმდინარეობა როგორ უნდა მოხდეს. თუ პირს ამ საკითხში აქტიური მხარდამჭერი ყავს დანიშნული მან ასევე უნდა უზრუნველყოს საარჩევნო უბანზე გამოცხადებაში დახმარება , საარჩევნო პროცედურების გავლაში დახმარება და უშუალოდ ხმის მიცემის პროცესში დახმარება. ერთადერთი რაც გასათვალისწინებელი და იმპერატიულია ეს არის მხარდამჭერს ეკრძალება მხარდაჭერის მიმღების ნების გამოხატვაზე რაიმე სახით ზეგავლენის მოხდენა. ვინაიდან სტატისტიკურად დიდი მაჩვენებელი არ არის მოცემულ ფაქტთან მიმართებაში, ასევე ეს ინსტიტუტი არის საკანონმდებლო სიახლე ძალზე მნიშვნელოვანია სწორი ინფორმირების მოხდენა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების : მხარდამჭერის მიმღების მიერ საარჩევნო უფლების განხორციელების მიზნით საჭიროა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს განემარტოთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ამ შემთხვევაში კონკრეტულად ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა უფლებები მხარდაჭერის გაწევის მნიშვნელობა და მხარდამჭერების როლი .

გვაქვს ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი გამონაკლისი . პირი რომელიც იმყოფება სტაციონარში, მინიჭებული აქვს ქმედუუნარო პირის სტატუსი 2015 წლის 1აპრილამდე განსაზღვრული წესის შესაბამისად ჩამორთმეული აქვს არჩევნებში მონაწილეობის და საკუთარი აზრის დაფიქსირების უფლება . თუმცა აღსანიშნავია ეს ცვლილება დარჩება თუ არა მას შემდეგ რაც პარლამენტის განმარტებით იგეგმება

⁴³ იხ: http://phr.ge/home/content?content_id=417&fbclid=IwAR0PbSf7mRbcrWKA2-XXhwxuG8yZk0ypyxPAvn_p8oJea63BUr6NOB9GiDk [17.06.2019]

2020 წლის 1 აპრილიდან პროექტში ცვლილებების განხორციელება და აღარ იარსებებს პირი რომელიც სასამართლოს მიერ იქნება ქმედუუნაროდ ცნობილი, აუცილებელი გახდება მიეთითოს კონსტიტუციის ჩანაწერი . კონსტიტუციის ჩანაწერი გულისხმობს მუხლს რომელშიც სამოქალაქო კოდექსის მიუხედავად უცვლელად დარჩა შემდეგი რამ : „არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო“. ვფიქრობ დაგეგმილი ცვლილებების განხორციელება ძალზე სწორი ნაბიჯი იქნება. მეტი შესაძლებლობები მსგავსი პირებისთვის მეტად გაფართოებული უფლებებია საზოგადოებაში ადაპტირებისა და სრულფასოვნად წარმოჩენისთვის . რაშიც როგორც კანონმდებლებს ასევე , მხარდამჭერებს, უფლება დამცველებსა დარიგით მოქალაქეებს ძალზედ დიდი როლი აკისრიათ.

სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა განსხვავებულად აწესრიგებს, ქმედუუნარიანობასთან დაკავშირებით, საარჩევნო უფლების რეალიზების საკითხებს. არსებობს სამი ტიპის მიდგომა . პირველი : მოიცავს პოლიტიკური მონაწილეობის სრულ დაბლანკეტურ აკრძალვას; მეორე მიდგომა გულისხმობს ნაწილობრივ შეზღუდვას პოლიტიკური მონაწილეობის , რაც ნიშნავს დეტალურად ინდივიდუალური შეფასების შედეგად ნაწილობრივი შეზღუდვების დაწესებას ; ხოლო მესამე მიდგომა უშვებს პოლიტიკური მონაწილეობის უფლების სრულფასოვან რეალიზებას, როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლების განხორციელების გზით. ამ უკანასკნელის მაგალითებია ავსტრია, ფინეთი, ჰოლანდია, ესპანეთი, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, საფრანგეთი და იტალია. დასახელებული ქვეყნების ნაწილი კონსტიტუციურ დონეზე განამტკიცებს ყველა პირისათვის სრული პოლიტიკური მონაწილეობის უფლებას.⁴⁴

რადგან შევხეთ უცხო ქვეყნის სისტემებს მაგალითის სახით მინდა ავღნიშნო ევროპის რამდენიმე ქვეყანა თუ როგორ წესრიგდება ხმის მიცემის უფლება . გერმანიაში თუ პირს ყავს დანიშნული მეურვე მას უნარჩუნდება არჩევნებში ხმის

⁴⁴ „The right to political participation of persons with mental health problems and persons with intellectual disabilities” pg.15-20; October 2010; http://fra.europa.eu/sites/default/files/fra_uploads/1216-Report-vote-disability_EN.pdfიხ: ვვიზიანი ლ. ღვინიაიანი ლ. ქმედუუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება

იცემის უფლება . გამონაკლისი არის მხოლოდ თუ პირი არის სრულიად ქმედუნარო და ყველა მიმართულებით ხდება მასზე მეურვეობის განხორციელება . ესტონეთში არ აქვს მნიშვნელობა მხარდამჭერი პირს ყავს ნაწილობრივ თუ სრულად მას მაინც ერთმევა არჩევნებში მონაწილეობისა და საკუთრი აზრის დაფიქსირების უფლება ,მიიჩნევა რომ არჩევნების მიზნებისთვის არის ქმედუნარო. ინგლისში შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი ავტომატურად არ კარგავს ხმის მიცემის უფლებას, ხოლო დემენციის მქონე პირს, შეუძლია ხმის მიცემა იმ პირობით, რომ მას გააჩნია საცხოვრებელი ადგილი და არ არის სამართლებრივად ქმედუნარო იმისთვის, რომ მისცეს ხმა. ⁴⁵

ჯანმრთელობის დაცვის უფლება

ჯანმრთელობის დაცვა ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. ჯანმრთელობის დაცვის უფლება გულისხმობს, რომ საზოგადოების ყველა წევრისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია ჯანდაცვა, სამედიცინო მომსახურება, ჯანმრთელი საკვები, სუფთაწყალი, სანიტარული სერვისები და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა. ჯანმრთელობის დაცვის უფლება ძირითადად არის ურთიერთდაკავშირებული ადამიანის სხვა უფლებებთან, მათ შორის ისეთ უფლებებთან, როგორცაა სოციალური დაზღვევა, თავისუფალი დრო და განტვირთვა, განსაკუთრებით კი, ადეკვატური საცხოვრებელი პირობების ქონა. ერთის მხრივ, ადამიანის უფლებების დარღვევამ შესაძლოა სერიოზული გავლენა მოახდინოს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, მეორეს მხრივ, ადამიანის უფლებების პატივისცემის, დაცვის და შესრულებისთვის გადადგმულ ნაბიჯებს დადებითი ზეგავლენა აქვთ ადამიანთა ჯანმრთელობაზე.

საკმაოდხშირია შშმ პირების უფლებების დარღვევის ისეთი ფაქტები, როგორცაა: ინსტიტუციონალიზაცია, იზოლაცია, სტიგმა და დისკრიმინაცია და ჯანდაცვის, განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდული ხელმისაწვდომობა. შშმ პირთა უფლებების კონვენცია ხაზს უსვამს ადამიანის

⁴⁵იხ: თ. კუპატაძე, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა მიმართ ევროპის ქვეყნების მიდგომები და საკანონმდებლო რეგულაციები, თსუ სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, თბ 2016, გვ. 62

უფლებებს ცხოვრების ყველა სფეროში. შშმ პირთა უფლებების კონვენციის მიზანია, „ხელიშეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შშმ პირთა თანაბარი უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა რეალიზება, მათი თანდაყოლილი პიროვნული ღირსების პატივისცემა“.⁴⁶

ჯანმრთელობა არ არის მხოლოდ ფიზიკური და სამედიცინო საკითხი. ევროპის ქვეყნების მოზარდთა 10%²⁵-დან 20%²⁵-სსავარაუდოდ ერთი ან რამდენიმე ფსიქიკური ან ქცევითი პრობლემა აქვს.⁴⁷ უმეტეს შემთხვევაში ფსიქო-სოციალურად უნარშეზღუდული ბავშვები საჭიროებენ რაიმე სახის ფსიქოლოგიურ მკურნალობას, მაგრამ დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ ასევე მათ პედაგოგებსაც. განსაკუთრებული ყურადღება, ჩართულობა და ხელშემწყობი საგანმანათლებლო გარემო ხელს უწყობს მათი პრობლემების გადაჭრისა და სოციალური აქტივობის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმის განხორციელებამდე, განსაკუთრებით მწვავედ იდგა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე, ქმედუნარო პირებისათვის ფსიქიატრიული დახმარებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. თუმცა ამ სფეროში მუდმივად ჩნდება ახალი პრობლემა, ყველაზე მეტად განვითარების მიუხედავად ყოველდღიურ პრობლემებს როგორც სხვა ურთიერთობებში აქაც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა მიმართ ვაწყდებით. „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ქმედუნარო პირი მოკლებული იყო შესალებლობას რაიმე ტიპის მონაწილეობა მიიღოს საკუთარი მკურნალობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. მის ნაცვლად თანმხობას მკურნალობაზე მისი მეურვე აცხადებდა. ქმედუნარო პირის ნების გათვალისწინების გარეშე ხდებოდა ისეთი საკითხების გადაწყვეტა როგორცაა ექიმის აყვანა, გამოკვლევებთან დაკავშირებით შეწყვეტა ან გაგრძელება, მიეღო ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მის შესახებ არსებული

⁴⁶გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა, შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენცია, A/RES/61/106, მუხ. 1 (2006 წ.). <https://cdn2.sph.harvard.edu/wp-content/uploads/sites/25/2014/03/Georgian.pdf> [18.06.2019]

⁴⁷European Forum on Social Cohesion for Mental Well-being among Adolescents, World Health Organisation, Regional Office for Europe; <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00--off-0civil2--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50--20-about---00-3-1-00-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.1&d=HASH01738c378e268e0408ad0c37.8.8>=1> [18.06.2019]

ინფორმაცია. ნაწილობრივ ინფორმაციის მიღებაზე შეზღუდვა შესაძლოა მივიჩნიოთ დადებით ფაქტორად და ამით შევძლოთ ავარიდოთ რაიმე უსიამოვნო ფაქტს, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ხელი უნდა შევუწყოთ მათ თანაბარ პირობებში ყოფნას. თუ არ გვაქვს მძიმე შემთხვევა უნდა მოვახდინოთ მათი ინტეგრაცია და პირიქით გარკვეული უფლებების შეზღუდვის ნაცვლად აღჭურვაზე ვიზრუნოთ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სადაო მუხლია „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი. რომლის მე-3 ნაწილის თანახმად დასაშვებად მიიჩნევა გამონაკლის შემთხვევაში, თუ დადგება უკიდურესი აუცილებლობა, სხვა უფლებებთან ერთად შეიზღუდოს პირის უფლება დაცული იყოს არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისგან. ექიმისთვის ამ უფლების მინიჭება წარმოადგენდა ნონსენსს, რადგან საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია და დაუშვებელია მისი შეზღუდვა. თუმცა მხოლოდ ეს არ წარმოადგენს ამ შემთხვევაში პრობლემას „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონი ითვალისწინებდა მთელ რიგ ნორმებს, რომელშიც ბევრი სხვა უფლების შეზღუდვა და სხვა უფლებათა შეზღუდვის რეგულაცია გვხვდება.

აღნიშნული მუხლების ხარვეზებისა და პრობლემების დასაწახად ერთგვარ სახელმძღვანელოს წარმოადგენს საკონსტიტუციოსასამართლოს მსჯელობები და გადაწყვეტილებები. საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ვრცლად იმსჯელა ამ უფლებებში ჩარევისა და ჩარევის კონსტიტუციურ სამართლებრივი საფუძვლების შესახებ, დაადგინა მათი წინააღმდეგომა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან და არაკონსტიტუციურად ცნო ისინი. სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო ნორმების მიზანს ქმედუუნაროდ აღიარებული პირის მკურნალობის პროცესის ოპტიმალური მართვა და თავად ამ პირთა უფლებების დაცვა წარმოადგენს, ისინი მაინც არაკონსტიტუციურია, რადგან გაუმართლებრად ერევა ქმედუუნარო პირის პიროვნების განვითარების უფლებაში.⁴⁸ ჩარევის არათანაზომიერებას კი ორი ფაქტორი განაპირობებს. პირველი არის ის, რომ ნორმა

⁴⁸ იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება, პ. 49

არ ახდენს მკურნალობას დაქვემდებარებული პირების გრადაციას მათი გონებრივი შესაძლებლობების შეზღუდვის ხარისხის და ფორმის მიხედვით, ხოლო მეორე პირის მონაწილეობის ან მისი ნების გათვალისწინების პროცესში აბსოლუტური და უპირობო გამორიცხვა მისივე ჯანმრთელობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ⁴⁹მოცემული გადაწყვეტილება არამხოლოდ ზოგადად, კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაშიც ახორციელებს მსჯელობებს, გვიჩვენებს დადებით და უარყოფით ფაქტორებს შეზღუდვების. თუმცა ხაზგასმით იკვეთება კონსტიტუციური ნორმების სრული დაცვის მოთხოვნა. განმარტავს, რომ ქმედუუნარო პირები „რეგულარულად და ჯეროვნად უნდა იქნენ ინფორმირებულნი მათ მკურნალობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების მიზეზების, ვადის, მკურნალობის შეწყვეტის და გაგრძელების შესახებ. ამავე დროს, საკუთარი ჯანმრთელობისა და მკურნალობის ისტორიის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვა კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციისათვის. მაგალითად, მკურნალობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება წარმოადგენს, პაციენტის უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების რეალიზაციის აუცილებელ წინა პირობას.⁵⁰ არაკონსტიტუციურად მიიჩნევა სასამართლო პირის სტაციონარში მოთავსებას მისი ნების გარეშე.

თუმცა დადებითი კუთხით შეიცვალა მიდგომები კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს მიენიჭა უფლება მიიღოს სრული ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი დაავადებისა თუ განზრახული ფსიქიატრიული დახმარების შესახებ, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც პირს არ გააჩნია უნარი მიიღოს გაცნობიერებული გადაწყვეტილება, ინფორმაცია მიეწოდება კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში პაციენტის ნათესავს (ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონი, მ. 5.1). მსგავსი რეგულირება დადგენილი სამკურნალო დაწესებულებისა და ექმის არჩევასთან დაკავშირებით. რაც წინარე კანონით იზღუდებოდა. პაციენტს მიეცა ასევე მკურნალობის ჩატარებაზე უარის თქმის უფლება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. შეიცვალა ასევე „ფსიქიატრიული დახმარების

⁴⁹ იქვე: პ. 54

⁵⁰ იქვე: პ. 166

შესახებ“ საქართველოს კანონის 15-ე მუხლის მე-3 ნაწილი და ექიმს კვლავ დარჩა უფლებამოსილება უსაფრთხოების მიზნით შეზღუდოს პაციენტის უფლებები, თუმცა კანონმა დააწესა ჩამონათვალი იმ უფლებებისა, რომელთა შეზღუდვაც დაუშვებელია. სწორედ ის უფლებები დაემატა რომელთან დაკავშირებითაც ხშირად იყო დავა სასამართლოში, როგორც კონსტიტუციით მინიჭებული უფლების დარღვევა. ასეთია მაგალითისთვის, პაციენტის უფლება ისარგებლოს ჰუმანური მოპყრობით, რომელიც გამორიცხავს მისი ღირსების შემლახავ ყოველგვარ მოქმედებას, უფლება დამცველით და სოციალური დაცვით სარგებლობაზე და სხვა. კანონით განისაზღვრა ასევე ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის წესი.

მიუხედავად საქართველოში კანონმდებლობის კუთხით გატარებული არსებული ცვლილებებისა, გაფართოებული უფლებებისა და ამათ ფონზე მაინც დარჩენილი შეზღუდვებისა, საინტერესოა თუ როგორ ხდება მსგავსი საკითხის რეგულირება უცხო ქვეყნებში. ევროპის უმეტეს ქვეყანაში აკრძალულია იძულებითი მკურნალობა და აუცილებელია პაციენტის აზრის გათვალისწინება მკურნალობის მეთოდებთან დაკავშირებით კანონით დადგენილი გარემოებების არსებობის შემთხვევაში.⁵¹ გერმანიაში, ინგლისში მიიჩნევა სწორ მიდგომად პაციენტის ინფორმირება და მისი გადაწყვეტილების გათვალისწინება. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ის რთული შემთხვევა როდესაც პაციენტს ყავს მეურვე დანიშნული და მას არ აქვს გაცნობიერების უნარი თუ რატომ უნდა განხორციელდეს მასზე რაიმე სახის ღონისძიება ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ან მისი არ განხორციელების შემთხვევაში რა კრიტიკული შედეგი დადგება. ფსიქიკური დარღვევა ან მოშლილობა არ ნიშნავს იმას, რომ პაციენტს არ აქვს მკურნალობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უნარი. გადაწყვეტილების მიღების უნარი ნიშნავს, რომ მას ესმის რა სახის მკურნალობას ეხება საქმე, რა არის ამ მკურნალობის მიზანი, აცნობიერებს მკურნალობის დადებით და უარყოფით მხარეებს, აცნობიერებს მკურნალობაზე

⁵¹ იხ: საქართველოს პარლამენტი, ქმედუწარიანობის სამართლებრივი რეგულირების საკითხები ევროკავშირის ქვეყნებში, საინფორმაციო ფურცელი, 2015, გვ. 5, იხ: <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/30534/qmeduunaro-piris-uflebebi> [19.06.2019]

უარის თქმის შემთხვევაში დამდგარ შესაძლო შედეგს, ამჟღავნებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ამ ინფორმაციის გაგებისა და გაანალიზების უნარს და შეუძლია მიღებული გადაწყვეტილების გადმოცემა.⁵²

ამ კუთხით გვაქვს შედარებით დახვეწილი მიდგომები და კანონმდებლობაც, თუმცა სასურველია პრაქტიკული თვალსაზრისითაც აკლებად პრობლემატური გახდეს და სტატისტიკურად მაჩვენებელი უკეთესობისკენ შეცვალოს.

პრაქტიკაში არსებული პრობლემები

მოცემულ თემაში უკვე განხილული თავებიდან გამომდინარე მოხდა მცირე სახის შეჯამებების გაკეთება დასკვნების სახით, ცალკეულ უფლებებთან მიმართებაში ასევე ნაწილობრივ პასუხი გაეცა წამოჭრილ პრობლემებსა თუ სადაო საკითხებს როგორც უფლებრივად ასევე პროცესუალურად, თუმცა ეს კონკრეტული თავი დაეთმო მხარდაჭერის ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგულირებაში არსებულ უფრო ფართო მამტაბის პრობლემებს, მიმოხილული იქნება ის ხარვეზები, რომელიც ზემოთ ხსენებულ თავებში მსჯელობის საგანი არ ყოფილა.

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის გადაწყვეტილების დიდ უმრავლესობას საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი გააჩნია, რაც შეუძლებელს ხდის მხარდაჭერის დანიშვნის საჭიროების გარკვევას. ამას გარდა, სასამართლოების ნაწილი თავად მხარდაჭერის მიმღებ პირს არ განიხილავს მხარედ და დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას ისე აქვეყნებს, რომ მის დამოკიდებულებას აღნიშნულისადმი არ იკვლევს.

განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, რამდენიმე თვის განმავლობაში, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხი განიხილებოდა უდავო წარმოების წესით, იმ მოტივით, რომ პირის ქმედუუნაროდ ცნობის შესახებ საქმის უდავო წესით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალში იყო განსაზღვრული. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელმა გამოყო პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცესი

⁵²იხ:საქართველოს პარლამენტი,ქმედუუნარიაზობის სამართლებრივი რეგულირების საკითხები ევროკავშირის ქვეყნებში, საინფორმაციო ფურცელი, 2015, გვ. 6, იხ: <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/30534/qmeduunaro-piris-uflebebi>

უდავო წარმოების საქმეებისგან და გაითვალისწინა მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის პროცესში სავალდებულო მონაწილეობისა და სავალდებულო დაცვის გარანტიები, იგი თავისი არსით მაინც უდავო წარმოებას ემსგავსება. ეს არასწორია, რადგან სსკ-ში გამოყოფილია თავი, რომელშიც მითითებულია ისნორმები, რომლითაც რეგულირდება პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხი და მასში არარის არანაირი მითითება იმის შესახებ, რომ მაგისტრმა მოსამართლემ უნდა განიხილოს მსგავსი კატეგორიის საქმეები.

კანონმდებლობით ზუსტად განსაზღვრული არ არის პროცესის მონაწილეთა სტატუსი და მათი უფლებები. ერთადერთი განმცხადებლის სტატუსი არის გარკვეული. მათ შორის ბუნდოვანია რა უფლებებით საგებლობენ პროცესში მხარდაჭერის მიმღები და მხარდამჭერი და ვის აქვს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი წარმოების სამოქალაქო დავაში გადაზრდის შესაძლებლობაზე, იმ შემთხვევაში, როდესაც მხარდაჭერის მიმღები არ ეთანხმება მხარდაჭერის ფარგლებს და უარს ამბობს მხარდაჭერაზე. უფრო მეტიც, მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის მიერ მხარდაჭერის მიღებაზე უარის თქმის შესაძლებლობას საერთოდ არ ითვალისწინებს და აღნიშნული „მხოლოდ სასამართლო ექსპერტიზაზე ნებაყოფილობითი უარის პირობებში მიიღწევა.“⁵³

ვადების მხრივაც ვაწყდებით პრაქტიკაში პრობლემებს. ქმედუნარიანობის ახალი მოდელი არ განსაზღვრავს განცხადების განხილვის სპეციალურ ვადებს, რაც შემდგომში მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოშობს. კონკრეტულ საკითხთან მიმართებით ზოგადად დადგენილი ვადების პრინციპი ვრცელდება, თუმცა როდესაც საქმე ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს ეხება და მათთან დაკავშირებულ პრობლემებს უნდა იყოს კანონი რომელიც განსხვავებულად მოაწესრიგებს ვადებს, საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განცხადების სწრაფად განხილვა. დღევანდელი პრაქტიკით მოცემული ტიპის საქმეების განხილვა თვეობით და წლობით გრძელდება, ამიტომ განმცხადებლები იძლებულნი ხდებიან თავდაპირველად დროებითი მხარდამჭერის დანიშვნა მოითხოვონ და შემდგომ მიმართონ სასამართლოს მხარდაჭერის

⁵³იხ:ლ. გვიშანი, ლ. ღვინიაძე, ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC, თბ 2016, გვ. 40

დანიშვნაზე. ვადის ხელოვნურ გაზრდად შეგვიძლია მივიჩნიოთ ასევე საექსპერტო მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრების დაკითხვები, ვინაიდან სასამართლო მათ მიერ გაკეთებული დასკვნით ხელმძღვანელობს და გადამწყვეტ როლს ექსპერტიზის დასკვნა ასრულებს ხდება ერთი და იმავე საკითხის რამდენჯერმე განხილვა. მნიშვნელოვანი სიახლე იქნება თუ კი მოხდება საკანონმდებლო რეგულირების შემოღება და მისი ხანგრძლივობის განსაზღვრა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. ამით შესაძლოა მივაღწიოთ პროცესის ვადების დაჩქარებას, დროული გადაწყვეტილებების გამოტანას და პრობლემის შესაბამისად გადაწყვეტილებების აღსრულებას.

ხარვეზები იკვეთება ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების პროცესში, კერძოდ, საპროცესო კანონმდებლობა განმცხადებელს ანიჭებს უფლებას იმუამდგომლოს სასამართლოს წინაშე ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, თუმცა ხშირად სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის გარეშე არ იღებს განცხადებას განსახილველად. ექსპერტიზის ბიურო კი ითხოვს სასამართლო საოქმო განჩინებას და სწორედ ეს ორი პროცესი თითქოს ურთიერთ გამომრიცხავია და ერთმანეთში გარკვევა უფრო არის ამ ორგანოების ვიდრე ფისქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ინტერესის დაყენება. პრობლემაა ასევე იძულებითი ექსპერტიზის დანიშვნის პროცედურა. იძულებითი ექსპერტიზის ჩატარება თავისთვად ეწინააღმდეგება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებათა“ კონვენციას.

რაც შეეხება თავად ექსპერტიზის ჩატარების პროცესს, აქ იკვეთება ორი ძირითადი პრობლემა. პირველს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც იყოფა მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრებს შორის ხმები. ასეთ შემთხვევაში დასკვნა უარყოფითად არ ითვლება და კანონით დგინდება სასამართლოს მიერ მისი შეფასების საჭიროება. სასამართლოსთვის ამ ფუნქციის მინიჭება დაუშვებელია, რადგან ექსპერტიზის ჩატარების საჭიროებას კანონი სწორედ იმიტომ ადგენს, რომ თავიდან იქნეს აცილებული სპეციალური ცოდნის არმქონე პირის მიერ გადაწყვეტილების მიღება შესაძლებლობა. როგორც წესი, მოსამართლე არ წარმოადგენს სპეციალური ცოდნის მქონე პირს და მის მიერ დადებითი დასკვნის

არარსებობის შემთხვევაში, სხვა მტკიცებულებებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია.⁵⁴

ექსპერტიზის დანიშვნისა და განხორციელების წესთან დაკავშირებით სანდოობის დონის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია გარკვეული ცვლილებები დაიგეგმოს. საპროცესო კანონმდებლობა ექსპერტიზის ჩატარების უფლებამოსილებას ანიჭებს კონკრეტულ ბიუროს, რაც გამორიცხავს ალტერნატიული მტკიცებულების მოპოვებისა და წარდგენის შესაძლებლობას. გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ერთი კონკრეტული დაწესებულების მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე არ არის მიზანშეწონილი, აუცილებელია შესაბამისი ცვლილებების შეტანა არსებულ რეგულაციებში და მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირისთვის ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების უფლების მინიჭება, ასევე, ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების და მტკიცებულებად მისი წარდგენის პროცედურების განსაზღვრა. ვინაიდან ყველაზე მეტ პრობლემას ვაწყდებით ამ კონკრეტულ ფაქტებთან მიმართებაში უმჯობესია სწორედ აქ მოხდეს კანონმდებლობის შესწორება და სწორი ფორმით ჩამოყალიბება. რათა მეტი სამართლებრივი ნდობა წარმოიშვას და შემცირდეს პრობლემატურ საკითხთა რიცხვი .

ზემოაღნიშნული ხარვეზების გარდა, პრობლემას ქმნის ის, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გარდამავალ პერიოდში ქმედუუნარო პირის მიერ ქმედუუნარიანობის აღდგენის შესაძლებლობას.

დღევანდელისასამართლო პრაქტიკა დამატებით მოთხოვნებს უყენებს განმცხადებელს. იმისთვის, რომ განცხადება მხარდაჭერის მიმღებად ცნობისა და მხარდაჭერის დანიშვნის შესახებ სასამართლოს მხრიდან წარმოებაში იქნეს მიღებული. განცხადებას აუცილებლად უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები: ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, იგივე ფორმა 100. ეს საჭიროა, როგორც მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის ასევე მხარდაჭერის.

⁵⁴ ლ. გვიშანი, ლ. ღვინიაძე, ქმედუუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC , თბ 2016, გვ. 41

კიდევ ერთი პრობლემა, რასაც პრაქტიკაში ვაწყდებით, სასამართლო პრაქტიკაში დადგენილია, რომ თუ მხარდასაჭერ პირს შეუძლია გადაადგილება მისი სასამართლო პროცესზე გამოცხადება არის სავალდებულო. ხშირ შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ პირს გადაადგილება შეუძლია მას არ ესმის რატომ მიჰყავთ პროცესზე. ადვოკატთა განმარტებით, ასეთი პირები ვერ ჩერდებიან სასამართლო პროცესზე. ხალხის სიმრავლე იწვევს მათ გაღიზიანებას, რის გამოც ხდება პროცესის გადადება და ვადაში გაწელება.

მხარდაჭერის მიმღები პირის ინსტიტუტის საკანონმდებლო ხარვეზები

როგორც ზემოთ ავლინებთ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის სამართალწარმოება არ მიეკუთვნება უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებს, თუმცა იგი არასასარჩელო წარმოების წესის დაცვით მიმდინარეობს და ვერ უზრუნველყოფს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის სრულყოფილი მონაწილეობის შესაძლებლობას, ვინაიდან არ ითვალისწინებს სასარჩელო წესით საქმის განხილვის უფლებას. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებ სროგორც სასარჩელო, ისე არასასარჩელო საქმის წარმოების სპეციალურ წესს დაშესაბამის პროცედურებს. ამასთან, თუ წარმოება არმ იმდინარეობს მისთვის განსაზღვრული სპეციალური წესით, იგი ზოგადი საერთო სასარჩელო წესით უნდა იქნას განხილული.

„მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, საქმის წარმოება იწყება მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის, მისი ოჯახის წევრის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, კანონიერი წარმომადგენლის ან ფსიქიატრიული სპეციალიზებული დაწესებულების განცხადების საფუძველზე. მართალია, ტექნიკურად, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის სამართალწარმოება აღარ მიეკუთვნება უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებს, თუმცა, იგი არასასარჩელო წარმოების წესების დაცვით მიმდინარეობს და ვერ უზრუნველყოფს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის სრულყოფილი მონაწილეობის შესაძლებლობას, რამდენადაც არ ითვალისწინებს სასარჩელო წესით საქმის განხილვის შესაძლებლობას, ამგვარი საჭიროების შემთხვევაში. წარმოების წესით

განსაზღვრულია განმცხადებლის სტატუსი, თუმცა, არარის ნათელი პროცესის სხვა მონაწილეები რა სტატუსით მონაწილეობენ პროცესში. ეს, პროცესში მონაწილე პირების მიმართ საპროცესო უფლებების გავრცელების თვალსაზრისით, ერთგვარ ბუნდოვანებას იწვევს.”⁵⁵

კანონმდებლობა სასამართლო ექსპერტიზაზე გამოუცხადებლობის გარდა, არ ითვალისწინებს არც ერთ საფუძველს, რომელიც პირს აარიდებდა არასასურველ მხარდაჭერას. მხარდაჭერის მიღებაზე პირის მიერ უარის თქმის შესაძლებლობა კი ქმედუნარიანობის კონვენციისეული გაგების მნიშვნელოვანი მახასიათებელია.⁵⁶ საუკეთესო ინტერესების რეალიზების პრინციპი პირის თავისუფალი და გაცნობიერებული ნებისა და არჩევანის პრინციპმა ჩაანაცვლოს უმჯობესი იქნება ეს იქნება ერთგვარი შესაძლებლობა არჩევანის თავისუფლების და საუკეთესო ინტერესის დაცვისთვის.

მოქმედი კანონმდებლობა, რამდენადაც ერთმანეთისაგან არ მიჯნავს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის ნების ადამისინების არ არსებობის პირობებში განხორციელებული სამართალწარმოების შემთხვევებს, ამასთან, დავის წარმოშობის შემთხვევაში, კანონმდებლობა არარის მოქნილი წარმოების სახე ცვლილების საკითხზე, მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირისათვის იგი ვერ უზრუნველყოფს შეჯიბრებით პროცესს. ეს კი, თავის მხრივ, პირის უფლებების სათანადოდ დაცვის საკითხს ეჭვქვეშ აყენებს, მათ შორის, პირის უფლებას, უარი თქვას არასასურველ მხარდაჭერაზე ან თავად განსაზღვროს მხარდაჭერის მიღების ფარგლები. ⁵⁷ამდენად, წარმოების არსებული სისტემა სათანადოდ არ ითვალისწინებს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის უფლებას, უარი განაცხადოს მხარდაჭერის მიღებაზე, სრულყოფილად მონაწილეობითი და შეჯიბრებითი პროცესის გამართვის პირობებში. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის პირის პროცესში სრულად მონაწილეობის იდეასთან და სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მისი უფლებების ჯეროვან რეალიზებას.

⁵⁵ლ. გვიშიანი, ლ. ღვინიაიძე ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციი სპროცესის შეფასება (კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი) გვ. 39 2016წ

⁵⁶შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ზოგადი კომენტარი N1, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი/C/GC/1, პ.29.ზ

⁵⁷იქვე: იხ გვ.40

ხარვეზები არსებობს ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებითაც. ეროვნულიკანონმდებლობა ითვალისწინებს ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე იძულებითი ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევებს და ნათლად არ ადგენს იძულებითი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას.

ასევე სსკ ნათლად არ ადგენს პირის მიმართ იძულებითი ექსპერტიზის დასკვნის შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების უფლებას. იძულებითი ექსპერტიზის გასაჩივრების შემთხვევაში, რეგულაცია შელახავს პირის უფლებას, ჰქონდეს მისმიმართ უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურული ბერკეტები და უფლებაში ადგენის შესაძლებლობა. მსგავს საპროცესო გარანტიებზე ხელმისაწვდომობა გარეოს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პირდაპირიმოთხოვნაა, რასაც ყველა შიდა მექანიზმი უნდა ითვალისწინებდეს.⁵⁸

ქმედუნარიანობის სიტემა უცხო ქვეყნების კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

სანამ უშუალოდ კონკრეტულ ქვეყნებთან მიმართებაში განვიხილავდეთ კანონმდებლობას და მის პრაქტიკულ გამოყენებას, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ევროპის ქვეყნების მიდგომებს კანონმდებლობის კუთხით რომელიც პირს მხარს უჭერს არა ზოგადად ქმედუნაროდ, არამედ იმ ნაწილში ქმედუნაროდ გამოცხადებას, რისი განხორციელების უნარი მას არ შესწევს და მეურვე ინიშნება კონკრეტული მიზნით, მაგალითად გადაადგილებაში, საოჯახო საქმეების შესრულებაში, ფინანსების განკარგვის საქმესა და სხვა მსგავსი ქმედების განხორციელებაში დასახმარებლად.სასამართლო ადგენს პირის სრულ ან ნაწილობრივ ქმედუნარობას. მხოლოდ 2 ქვეყანაა ევროკავშირის რომელსაც არ აქვს მსგავსი მიდგომა და არ აღიარებს ნაწილობრივ ქმედუნარიანობას. ეს ქვეყნებია : ირლანდია, რუმინეთი.⁵⁹

⁵⁸გვიშიანი ლ. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება

⁵⁹ სტატია : თ. კუპატაძე ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები

გერმანულ სამართლებრივ სისტემაში პირის ქმედუნარიანობისა და მეურვეობის საკითხები სამოქალაქო კოდექსით წესრიგდება. კოდექსის შესაბამისად ქმედუნაროა პირი, ვინც იმყოფება ისეთი პათოლოგიური გონებრივი აშლილობის მდგომარეობაში, რომელიც გამორიცხავს ნების თავისუფლად განსაზღვრას, თუ მდგომარეობა თავისი ბუნებით არ არის დროებითი.⁶⁰ გერმანიაში არსებობს სპეციალური სამეურვეო სასამართლო, რომელიც იმ სრულწლოვანების ასაკს მიღწეულ პირს, რომელსაც ფსიქიკური/სულიერი დაავადების ან ფიზიკური, ფსიქიკური ან ფსიქოლოგიური დარღვევების გამო არ შეუძლია განაგოს თავისი საქმეები, სამეურვეო სასამართლო ამ პირის განცხადებით ან საკუთარი შეხედულებით უნიშნავს მას მეურვეს.⁶¹ მნიშვნელოვანია ქმედუნარობის მინიჭებისა და მისი რაიმე სახის დაღვევის მიუხედავად სტატუსის შენარჩუნების საკითხები. პირს მეურვე ენიშნება მხოლოდ ამოცანათა იმ ჯგუფის შესასრულებლად, რომლის შესასრულებლადაც საჭიროა მეურვეობა. რომლის განხორციელებაც აღემატება მის ძალეებს. უმეტეს შემთხვევებში მეურვე ინიშნება მკურნალობისა და ფინანსური საკითხების მართვის მიზნით, ასეთ შემთხვევებში სამეურვეო პირი ინარჩუნებს ქმედუნარიანობას. თუმცა ყველა შემთხვევაში არ ხდება ქმედუნარიანობის სტატუსის შენარჩუნება პირს შესაძლოა დაენიშნოს სრული მხარდაჭერა თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს. სხვამ მოახდინოს სრულად ზედამხედველობა და ყოველმხრივი დახმარების გაწევა .

გერმანული კანონმდებლობით ყველა წვრლმანი დეტალიც კი რაც მხარდაჭერის დანიშნის პროცედურას ეხება განსაზღვრულია, ასევე გამონაკლისი შემთხვევებიც ნათელია. იმ შემთხვევაში, როდესაც თავად სამეურვეო პირი არ ასახელებს კონკრეტულ პიროვნებას, სასამართლო უპირატესობას ანიჭებს მის შვილებსა და მეურვეს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც მათ შორის შესაძლოა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი. პირის მეურვედ დანიშნისთვის აუცილებელია მისი თანხმობა. მოსამართლე უფლებამოსილია მეურვედ დანიშნოს ერთზე მეტი პირი საქმის სირთულიდან გამომდინარე, თუ აღნიშნული მისი ეფექტური წარმართვისთვის დადებითი შედეგის მომტანი იქნება. სასამართლოს მიერ ასევე

⁶⁰იხ: German Civil Code BGB, § 104. ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.html [20.06.2019]

⁶¹ იქვე: §1896 (1)

მაქსიმალურ ვადას მეურვედ დანიშვნის გერმანულ კონმდებლობაში წარმოადგენს 7 წელი.⁶²

ესპანეთის კანონმდებლობას თუ შევხედავთ ყველა ქვეყანაში რა თქმა უნდა არის რაღაც მსგავსი ჩარჩოები თუმცა მოწერიგების კუთხით არსებობს სხვაობები აღსრულებაში. პირი ქმედუუნაროდ შეიძლება იქნს აღიარებული მხოლოდ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე. როგორც ჩვენს ქვეყანაში თუ პარალელს გავავლებთ ესპანეთშიც პირის ქმედუუნაროდ ცნობის მიზეზი შეიძლება იყოს ავადმყოფობა ან მუდმივი ფსიქიკური ან ფიზიკური მდგომარეობა, რომელიც მხარდამჭერის მიმღებ პირს ხელს უშლის დამოუკიდებლად განახორციელოს რაიმე ქმედება, იტვირთოს პასუხისმგებლობა, ასევე მონაწილეობა მიიღოს საქმიანი ურთიერთობების წარმართვაში. პირის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ მოთხოვნით ნებისმიერს შეუძლია მიმართოს საჯარო სისხლის სამართლებრივი დევნის დეპარტამენტს.⁶³

ინგლისის კანონმდებლობაში რამდენადმე შესაძლოა ითქვას განსხვავებული სახისაა ამ საკითხის მოწერიგება და საინტერესოა ქმედუუნარიანობასთან დაკავშირებული რეგულაციები. ინგლისში არსებობს სპეციალური კანონი ქმედუუნარიანობის შესახებ, რომელიც აწესრიგებს პირის ქმედუუნარიანობის საკითებს. კანონის თანახმად დაცვისას სასამართლოს მოსამართლეს უფლება აქვს დაუნიშნოს მეურვე პირს, რომელსაც არ შესწევს უნარი გარკვეულ საკითხთან მიმართებით შესაბამის მომენტში მიიღოს გადაწყვეტილება ფსიქიკის ან ტვინის ფუნქციონირების დაზიანების ან დარღვევების გამო. კანონი პირდაპირ აკეთებს მითითებას იმის თაობაზე, რომ პირის ქმედუუნაროდ მიჩნევა დაუშვებელია მხოლოდ მის გარეგნობასა თუ ასაკზე ან მისი ქცევის ამა თუ იმ ასპექტზე დაყრდნობით, რამაც შეიძლება, ერთი შეხედვით, არასწორი შთაბეჭდილება დატოვოს. პირისათვის მეურვის დანიშვნა შეიძლება, თუ მას აქვს ისეთი ხასიათის ან ხარისხის ფსიქიკური აშლილობა, რაც საფუძველს იძლევა, დაენიშნოს მეურვე პაციენტის კეთილდღეობის

⁶² Legal capacity and proxy decision making Germany, 2010, ხელმისაწვდომია: <http://www.alzheimer-europe.org/Policy-in-Practice2/Country-comparisons/2010-Legal-capacity-and-proxy-decision-making/Germany>

⁶³ <<http://www.alzheimer-europe.org/Policy-in-Practice2/Country-comparisons/Legal-capacity-and-proxy-decision-making/Spain>>

და სხვა ადამიანთა დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე. მეურვის დანიშვნა სახელმწიფოს მხრიდან დაცულია როგორც პირის დაცვის თვალსაზრისით, გამოყოფილია სხვათა უფლებები და კეთილდღეობაზე ზრუნვა. მასშტაბი ამ შემთხვევაში უფრო ვრცელია ვიდრე წრე რომელიც მოიცავს მხოლოდ მხარდასაჭერ და მხარდამჭერ პირებს.⁶⁴ ინგლისის კანონმდებლობის თანახმად, განცხადება მეურვის დანიშვნის შესახებ შეიძლება წარადგინოს უახლოესმა ნათესავმა ან სერტიფიცირებულმა ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტმა სოციალური მომსახურების დაწესებულებაში სამეურვეო პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. განცხადების განხილვა და პირდაპირ სხდომის მოწვევა არ ხდება მანამ სანამ 14 დღის განმავლობაში არ მოხდება პირის ნახვა და მისი მდგომარეობის შეფასება . უნდა მოხდეს პირის დაავადების ხარისხისა და ბუნების დადგენა. უნდა გაირკვეს საჭიროებს თუ არა პირი რეალურად მხარდამჭერს და თუ დადებითად გადაწყდა საკითხი უნდა გაირკვეს პროცედურული საკითხები : თუ რა სახის ურთიერთობებში სჭრდება მეურვე , ვინ შეიძლება იყოს და ა. შ მეურვეობის ხანგრძლივობა თავდაპირველად განისაზღვება 6 თვის ვადით. აღნიშნული ვადა შესაძლოა, გაგრძელდეს ისევ 6 თვით, ხოლო თუ ამ დროის გასვლის შემდეგ კვლავ იქნება პირის მიმართ მეურვეობის განხორციელების საჭიროება, მდგომარეობის ხელახალი შეფასების შემდგომ 1 წლის ვადით უხანგრძლივდება. ⁶⁵ ინგლისში მოწესრიგებულადაა ასევე მეურვეზე ზედამხედველობის გაწევის კუთხით კანონმდებლობა. ხდება დადგენა იმის თუ ესმის მეურვეს მასზე დაკისრებული მოვალეობის არსი და თუ აკეთებს ამას რეალურად.

საინტერესო მიდგომა აქვს ქმედუნარიანობის ინსტიტუტთან დაკავშირებით **საფრანგეთს**. ქმედუნარიანობასთან და მეურვეობასთან დაკავშირებული ნორმების უმეტესი ნაწილი თავმოყრილია სამოქალაქო კოდექსში. ფრანგული კანონმდებლობის თანახმად მეურვეობა უწესდება პირს, რომელსაც თვითონ არ შეუძლია საკუთარი ინტერესების დაცვა სამედიცინო დასკვნით დამტკიცებული

⁶⁴იხ: საქართველოს პარლამენტი, ქმედუნარიანობის სამართლებრივი რეგულირების საკითხები ევროკავშირის ქვეყნებში, საინფორმაციო ფურცელი, 2015, გვ. 2, იხ:

<http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/30534/qmeduunaro-piris-uflebebi>

⁶⁵იხ: Legal capacity and proxy decision making, United Kingdom – England, ხელმისაწვდომია: <http://www.alzheimer-europe.org/Policy-in-Practice2/Country-comparisons/2010-Legal-capacity-and-proxy-decision-making/United-Kingdom-England>

ფსიქიკური ან ფიზიკური უნარების დარღვევის გამო, რაც ხელს უშლის მისი თავისუფალი ნების გამოვლენას.⁶⁶ კანონმდებლობა გამოყოფს მეურვეობის სამ სახეს: სასამართლო დაცვა, კურატორობა და ტუტორობა. სასამართლო დაცვა შეიძლება, გამოყენებული იქნეს იმ პირის მიმართ, რომელიც სრულად ქმედუნარიანია, თუმცა ესაჭიროება დროებითი დაცვა ან დახმარება. კურატორობა კი უწესდება პირს, რომელიც არ არის სრულად ქმედუნარო და ესაჭიროება დახმარება ან/და ზედამხედველობა გარკვეული ქმედებების განხორციელებაში. კურატორი უფრო მეტად ფინანსურ საკითხებში დამხმარეა და იგი პირის სოციალური ცხოვრების სფეროში არ ერევა. კურატორობა ორი სახისაა: მარტივი კურატორობა და ინტენსიური კურატორობა. ამ უკანასკნელის შემთხვევაში კურატორი წყვეტს შემოსავლების გამოყენების საკითხებს, მაგალითისთვის, უზრუნველყოფს პირს კვირის სამყოფი თანხით. ტუტორი იღებს გადაწყვეტილებას სამეურვეო პირის ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, მეურვეობა ეხება როგორც ფინანსებს, ასევე თავად სამეურვეო პირს.⁶⁷ ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა უფრო ფართოვდება ვინაიდან მოვალეობის ზრდა ხდება, იზრდება პასუხისმგებლობა ქმედუნარო პირის მიმართ. საფრანგეთის კანონმდებლობაშიც როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში მეურვის მოთხოვნის და დანიშვნის პროცედურა ანალოგიურია. ასევე მეურვეთა წრე საიდანაც უნდა მოხდეს არჩვა და უპირატესობის მინიჭება.

განსხვავება სხვა ქვეყნებისგან მოცემულ საკითხთან მიმართებაში შეგვიძლია გამოვყოთ, საფრანგეთში მეურვეობის ხანგრძლივობა განსხვავებულია მეურვეობის სხვადასხვა სახისათვის. ვინაიდან ვახსენეთ 3 სახე და სამივე სახის მნიშვნელობა და მოქმედების ფარგლები. სამართლებრივი დაცვის ხანგრძლივობაა 1 წელი. მისი გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ ერთხელ და გაგრძელებაზე გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში იგი ავტომატურად სრულდება. კურატორობისა და ტუტორობის ხანგრძლივობა განისაზღვრება 5 წლის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ ტარდება სავალდებულო ხელახალი ექსპერტიზა და თუ მოსამართლე ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გადაწყვეტს, რომ საჭიროა სამართლებრივი დაცვის ხანგრძლივობის გაგრძელება, აგრძელებს მას ისევე არაუმეტეს 5 წლის

⁶⁶იხ: საქართველოს პარლამენტი, ქმედუნარიანობის სამართლებრივი რეგულირების საკითხები ევროკავშირის ქვეყნებში, საინფორმაციო ფურცელი, 2015, გვ. 2, იხ:

<http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/30534/qmeduunaro-piris-uflebebi>

⁶⁷ იქვე: გვ. 5

ვადით.⁶⁸საფრანგეთში სამივე სახის მეურვის საქმიანობაზე ზედამხედველობას სამეურვეო საქმეთა სასამართლოს მოსამართლე და პროკურორი ახორციელებენ.

რამდენადმე შეიქმნა ერთიანი წარმოდგენა სხვადასხვა ქვეყნების მაგალითიდან გამომდინარე მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ასევე მცირე განსხვავებს გაესვა ხაზი. ერთ-ერთი შესაძლო განმასხვავებელი ნიშანი აქვს **ნორვეგიის** კანონმდებლობასაც, განსაზღვრულია რამდენიმე იმ დაავადებათაგან, რომელიც იწვევს პირისთვის მეურვის დანიშვნას. ნორვეგიის კანონმდებლობის თანახმად, სრულწლოვან პირს, რომელსაც საკუთარი საქმიანი ურთიერთობების მართვა არ შეუძლია სულით ავადმყოფობის, ფსიქიკური დარღვევების, სენსილური დემენციის, ჩამორჩენილი გონებრივი განვითარების თუ ფიზიკური ნაკლის გამო, შესაძლოა დაენიშნოს მეურვე.⁶⁹ გარდა ჩამოთვლილისა ნორვეგიის კანონი მეურვეობის შესახებ მეურვეობის დანიშვნის საფუძვლად მიიჩნევს ასევე ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე ან აზარტულ თამაშობებზე მიმდევრობით ფორმით დამოკიდებულებას. სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა და შემდგომში მხარდამჭერის კონტროლი და როლი ძალზე რთულია ამ სამ კონკრეტულ ფაქტთან მიმართებით სტატისტიკურად.⁷⁰

ნორვეგიის კანონმდებლობით სამეურვეო პირს მეურვე ენიშნება, როგორც ზოგადად მისი საქმეების წარმართვის, ისე კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად. მეურვის უფლებების მოცულობა განისაზღვრება მისი დანიშვნის დროს და ის არ უნდა სცილდებოდეს აუცილებლობის ფარგლებს. მეურვეობის დანიშვნის შესახებ განცხადების წარდგენა შეუძლია როგორც კერძო პირს, ისე სახელმწიფო ორგანოს. განცხადებას თან უნდა ახლდეს ცნობა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის თუ ფიზიკური ნაკლის შესახებ, აგრეთვე სამეურვეო პირის თანხმობა მეურვის დანიშვნაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეუძლებელია მისგან ასეთი თანხმობის მიღება ანდა განსაკუთრებული მიზეზების გამო ამგვარი თანხმობის მიღება რეკომენდირებული არ არის. პირისთვის მეურვის დანიშვნაზე განცხადების

⁶⁸იხ: *თ. კუპატაძე*, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა მიმართ ევროპის ქვეყნების მიდგომები და საკანონმდებლო რეგულაციები, თსუ სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, თბ 2016, გვ. 57-58

⁶⁹იხ: Legal capacity and proxy decision making, Norway, ხელმისაწვდომია: <http://www.alzheimer-europe.org/Policy-in-Practice2/Country-comparisons/2010-Legal-capacity-and-proxy-decision-making/Norway>

⁷⁰იხ: საქართველოს პარლამენტი, ქმედუნარიანობის სამართლებრივი რეგულირების საკითხები ევროკავშირის ქვეყნებში, საინფორმაციო ფურცელი, 2015, გვ. 2, ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/30534/qmeduunaro-piris-uflebebi>

წარდგენა ხორციელდება სამეურვეო ოფისებში. მეურვის კანდიდატურის წარდგენა განცხადებასთან ერთად ხდება სამეურვეო ოფისში და სწორედ ეს უკანასკნელია უფლებამოსი დანიშნოს კანდიდატი მეურვედ. რაც შეეხება მეურვეობის ხანგრძლივობას, მეურვეობა გრძელდება მანამ, სანამ მისი საჭიროება არსებობს. იგი შესაძლოა გაგრძელდეს სამეურვეო პირის გარდაცვალებამდე.⁷¹ ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია მეურვეობის საკითში ნორვეგიის კანონდებლობა სადაც კონკრეტულ ვადებზე არ გვაქვს მითითება. რამდენადმე დადებითი პოზიციაც აქვს ყოველივეს, ვინაიდან ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი ზედმეტად უახლოვდება მასს ვინც მას უწევს მზრუნველობას და დხმარებას, თან ეს გრძელდება დიდი ხნის განმავლობაში, შესაძლოა მეურვის შეცვლა ვადის გასვლიდან გამომდინარე უარყოფითად აისახოს მის ფიზიკურ თუ ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ამ მსჯელობიდან გამომდინარე დადებითად მივიჩნევ კანონდებლობის ამ ნაწილს.

განსხვავებულად არეგულირებს ქმედუნარიანობის საკითხს რუმინეთი. განსხვავებულად სხვა ქვეყნებთან მიმართებით ხოლო ჩვენი კანონმდებლობისთვის ყველაზე ახლო 2015 წლის ცვლილებებამდე. მისი კანონმდებლობა საქართველოში ძველად არსებული რეგულაციების მსგავს მოწესრიგებას ანიჭებს უპირატესობას. რუმინეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს ქმედუნარიანობის სრულად ჩამორთმევას. არ ხდება ნაწილობრივ ქმედუნარიანობის აღიარება. ქმედუნაროდ ცხადდება ფსიქიკური პრობლემების მქონე და გონებრივად ჩამორჩენილი პირი, რომელსაც არ შეუძლია საკუთარ ინტერესებზე ზრუნვა. ზრუნვის გარდა არ აქვს უნარი მოახდინოს ფაქტებისა და მოვლენების სწორად გააზრება და აღქმა. ქმედუნარო პირი არ არის უფლებამოსილი, განახორციელოს თავისი უფლებები, მათ შორის შეიტანოს სარჩელი სასამართლოში ან დადოს სამართლებრივი გარიგებები. ასეთი ქმედებების განხორციელების უფლება მის ნაცვლად სასამართლოს მიერ დანიშნულ მეურვეს აქვს მინიჭებული. პროცედურულად პირის ქმედუნაროდ ცნობისთვის საჭიროა მისი შემოწმება უფლებამოსილი სამედიცინო კომისიის მიერ, რომელმაც უნდა დაადგინოს ავადმყოფის დიაგნოზი და შეაფასოს მისი კომპეტენცია. ვინაიდან ამ პროცედურაზეა დამოკიდებული მეურვეობის საკითხის განსაზღვრა. როდესაც დადგინდება

⁷¹ob: Legal capacity and proxy decision making, Norway, ხელმისაწვდომია: <http://www.alzheimer-europe.org/Policy-in-Practice2/Country-comparisons/2010-Legal-capacity-and-proxy-decision-making/Norway>

პირისთვის ქმედუნარიანობის ჩამორთმევის საფუძვლების არსებობა, მას ენიშნება მეურვე. კანონის თანახმად თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ყავს ნათესავები ან ადამიანი, რომელიც დათანხმდება მეურვეობას, სასამართლო თავისი ინიციატივით მეურვედ ნიშნავს კერძო პირს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. შესაძლებელია მეურვედ დაინიშნოს ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების დაცვას და იზრუნებს მასზე. მეურვე ვალდებულია უფლებამოსილებები განახორციელოს კეთილსინდისიერად. როდესაც ვეხებით ამ თემას რომელიც ძალზე სენსიტიურია, საქმე გვაქვს რამდენადმე განსხვავებულ ადამიანებთან მართლაც მოსათხოვია თან მკაცრად კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა მეურვეების მხრიდან. მათი საქმიანობის მონიტორინს მეურვეობის ორგანოები ატარებენ ყოველწლიურად და თუ დაადგენენ, რომ იგი არ ასრულებს თავის მოვალეობებს სათანადოდ, განხორციელდება მისი შეცვლა სხვა მეურვეთ. რაც შეეხება მეურვეობის ხანგრძლივობას, მეურვეობა გრძელდება იმ პირობების ამოწურვამდე, რამაც გამოიწვია პირის ქმედუნაროდ ცნობა.⁷²

შედეგი - ის კანონმდებლობამ რამდენიმეჯერ განიცადა ცვლილება. 1989 წელს შეცვალა მეურვეობის სისტემის მოდელი ორი ალტერნატიული დახმარების ღონისძიებით. მენტორი და ნდობით აღჭურვილი პირი ახორციელებდა პირისთვის საჭიროებისამებრ გასაწევ საქმიანობას. ნდობით აღჭურვილი პირი კი ინიშნება მაშინ, როდესაც პირს არ შესწევს უნარი, იზრუნოს საკუთარ თავზე ან ქონებაზე. რაც შეეხება შემდგომ ცვლილებას ინსტიტუტთან დაკავშირებით 1995 წელს განხორციელებული ფსიქიტრული რეფორმის შედეგად ამოქმედდა სპეციალური ინოვაციური პერსონალური ომბუდსმენის სისტემა. თავდაპირველად ამ სისტემის შექმნის მიზანს წარმოადგენდა წინა სისტემის ხარვეების აღმოფხვრა და უზრუნველყოფილიყო პაციენტისთვის თავისი უფლებების ხელმისაწვდომობა. რაც შეეხება პერსონალურ ომბუდსმენს არის გამოცდილი პროფესიონალი, რომელიც თავის საქმიანობაში არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი

⁷²იხ: Legal capacity and proxy decision making, Romania, ხელმისაწვდომია: <http://www.alzheimer-europe.org/Policy-in-Practice2/Country-comparisons/2010-Legal-capacity-and-proxy-decision-making/Romania>

ხელისუფლებისაგან, მას აქვს მომხმრებელე ორიენტირებული მიდგომა, მის ძირითად მოვალეობას წარადგენს დაუკავშირდეს პირებს რომლებიც დარჩენილნი არიან დახმარების გარეშე და მოკლებული არიან მხარდაჭერას.⁷³

სტატისტიკა საერთო სასამართლოების სისტემაში პირის მხარდაჭერის ცნობასთან დაკავშირებით

სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვის ეტაპი პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც არსებითად განსაზღვრავს წარმოების შინაარსს, ფარგლებს და ამდენად წარმოადგენს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას. მოქმედი კანონმდებლობით, განცხადების შინაარსი იმ სფეროების ჩამონათვალს უნდა მოიცავდეს, რომელშიც პირს მხარდაჭერა სჭირდება.⁷⁴

საკითხის შეფასება მოხდა სხვადასხვა კუთხით, პროცედურული საკითხებისა და კანონმდებლობის შეფასების შემდგომ, უმნიშვნელოვანესი ეტაპია მისი პრაქტიკული იმპლემენტაციის პროცესი, რომლის ერთ-ერთ მთავარ ნაწილს წარმოადგენს სასამართლოს მიერ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხი. საერთო სასამართლოებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და საქმისწარმოების მასალების ანალიზი რეფორმის დანერგვისა და მისი აღსრულების თითქმის ყველა ეტაპზე სხვადასხვა შინაარსის ხარვეზებს გამოკვეთს, ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს, მხარდაჭერა პირს უდგინდება ყველა სფეროში, აღნიშნულს განაპირობებს თავად წარდგენილი განცხადებების ბუნდოვანება. არ განსაზღვრავს იმ სფეროებს, რომელშიც საჭიროა მხარდაჭერის დანიშვნა, ხოლო ის კონკრეტული რაც რეფორმის იმპლემენტაციის სირთულეებისა და პრობლემების სისტემურობას აჩვენებს.

სასამართლოში საქმის წარმოების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები, ძირითადად, მეორდება და პრობლემს წარმოადგენს სასამართლოსათვის მიმართვის, ექსპერტიზის ჩატარებისა და საქმის წარმოების ეტაპები, სწორედ ამ კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში გადავეყარეთ პრობლემების უმეტეს ნაწილს. ექსპერტიზის იძულებით ჩატარების ნაწილში განსაკუთრებით. მნიშვნელოვან პრობლემად იკვეთება სასამართლოს მხრიდან პროცესის წარმართვის და გადაწყვეტილების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილების თავსებადობა ქმედუნარიანობის ცნების არსთან. ამ მცირე შეფასების ფონზე შეგვიძლია ავღნიშნოთ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ინსტიტუტი ვერ აისახა პრაქტიკაში და მეტიც, უმეტეს შემთხვევაში, სასამართლოს მხრიდან ცალკეულ ნორმათა ინტერპრეტაცია პირდაპირ ეწინააღმდეგება პირის მხარდაჭერის მიმღებად აღიარების არსს და იმეორებს ქმედუნარიანობის გაუქმებული მოდელის შინაარსს.

⁷³ თ. კუპატაძე ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები (სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი გვ.43)

⁷⁴ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363(15)

რომელიც სწორედ ხარვეზების და ბუნდოვანი ჩანაწერების გამო შეიცვალა ახალი მოდელით . რა თქმა უნდა არის გარკვეული სახის წინ გადადგმული ნაბიჯები, იხვეწება ამ მიმართულებით სასამართლო პრაქტიკა თუმცა ყოველივე ეს არ არის საკმარისი ახალი ინსტიტუტის სრულყოფილად და ეფექტიანად მუშაობისთვის.

საკითხის პრობლემატიკის აღსაქმელად გამოვეყოფ რამდენიმე გადაწყვეტილებას. ბათუმის საქალაქო სასამართლო თავის გადაწყვეტილებით ადგენს, რომ მხარდამჭერი უფლებამოსილია „იყოს მხარდაჭერის მიმღების წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან და სხვა პირებთან, მიეცეს უფლება ადმინისტრაციულ ორგანოებს მიმართოს განცხადებით, მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია (მათ შორის, პერსონალური მონაცემები) მიენიჭოს უფლებამოსილება წარმოადგინოს მხარდაჭერის მიმღები როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში, წარადგინოს სარჩელი ან/და განცხადება, წარადგინოს საპელაციო და საკასაციო საჩივრები, საქმისწარმოება დაამთავროს მორიგებით და ა.შ. მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მხარდამჭერს მიენიჭოს უფლებამოსილება დაიცვას მხარდაჭერის მიმღები პირის სხვა კანონიერი უფლებები, რაც გამომდინარეობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შინაარსიდან.“⁷⁵ მოცემულ გადაწყვეტილებაში პირს მხარდამჭერი დაენიშნა სოციალური ურთიერთობის თითქმის ყველა სფეროში, თუ რა საკითხის გადასაჭრელად ენიშნება მხარდამჭერი ზუსტად არის ჩანაწერი გადაწყვეტილებაში, ამავე დროს გადაწყვეტილებაში მითითებულია რომ მხარდამჭერი თავად განახორციელებას ამ უფლებას, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება მხარდაჭერის ინსტიტუტის არს, რადგან მხარდაჭერის მიღება პირის დახმარებას გულისხმობს და არა მის ნაცვლად ქმედებების განხორციელებას, სწორედ იმისთვის ენიშნება პირს მხარდამჭერი რადგან მას არ შესწევს ძალა და უნარი თავისი პასუხისმგებლობით განახორციელოს კონკრეტული ქმედება.ეს კონკრეტული შემთხვევა არ არის ერთადერთი რომელშიც მსგავსი სახის მსჯელობაა მსგავსი ჩანაწერი გვხვდება ბევრ სხვა გადაწყვეტილებაშიც.⁷⁶

სასამართლო გადაწყვეტილებები, უმეტესწილად, ასახავს მხარდაჭერის მოდელის არასწორ ხედვას,თითქოს სრულყოფილად ვერ დამკვიდრდა ის ცვლილება რაც წინა სისტემაში ხარვეზი იყო და სწორედ მისი გაუმჯობესების მიზნით შეიცვალა. რაც ნაცვლად მხარდაჭერის დანიშვნისა, მხარდამჭერისათვის პირის ნების ჩანაცვლების უფლებამოსილების მინიჭებაში გამოიხატება. კერძოდ, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის მითითების გარეშე, სასამართლო მხარდამჭერს წარმომადგენლობით უფლებას ანიჭებს ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან, ნებისმიერ სახელმწიფო თუ კერძო ორგანოსთან ურთიერთობაში და ნებისმიერი მოქმედების განხორციელებისას. მხარდამჭერები წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებთან არიან გაიგივებული, რაც მხარდაჭერის ინსტიტუტის არსს სრულად ეწინააღმდეგება და კანონმდებლობის აღსრულებისას, ფაქტობრივად, ქმედუნარიანობის გაუქმებულ მოდელს აბრუნებს.⁷⁷ პრაქტიკული

⁷⁵ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N2/1739-15 გადაწყვეტილება

⁷⁶იბ:ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 31 მაისის №2/12-2016 გადაწყვეტილება, ქობულეთის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 19 მაისის №2-3398/2017 გადაწყვეტილება.

⁷⁷ . სენაკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 19 ნოემბრის N2/296-15 გადაწყვეტილება; სენაკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 ნოემბრის N2/333-2015 გადაწყვეტილება

თვალსაზრისით ცვლილების მიზანს სწორედ ამ პრობლემების აღმოფხვრა მოიცავდა.

ყოველივე აღნიშნული მიუთითებს სასამართლო პრაქტიკის არასწორ განვითარებაზე. თუმცა ხარვეზისა არის გადაწყვეტილებები რომელიც ზუსტად განსაზღვრავს კოკრეტულ სფეროს და მხარდასაჭერი პირის უფლების ფარგლებს. ისე რომ არცერთი საკითხი არ მოდის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში. მეტიც სასამართლო არებული მტკიცებულებების და მის მიერ გაკეთებული შეფასების შედეგად აფართოვებს პირის მოთხოვნის ფარგლებს და ისეთ საკითხშიც სთავაზობს მხარდაჭერას რომელიც არ წარმოადგენდა მხარდასაჭერი პირის მოთხოვნას.

სასამართლოში მიმართვის მაჩვენებელი ამ კუთხით არც თუ ისე დაბალია, რაც შეეხება წარდგენილი განცხადებების შინაარსობრივ მხარეს, პრაქტიკაში უმეტესად გვაქვს განცხადებები, რომელითაც მოთხოვნილია მხარდამჭერი სოციალური პაკეტის, მათ შორის პენსიის დანიშვნა, მიღება, განკარგვის, სამედიცინო დაწესებულებებსა და აფთიაქებში, ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიღების, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში წარმომადგენლობის, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისა და თავისუფალი მიმოსვლის სფეროებში.⁷⁸ სტატისტიკური მაჩვენებლით გადაწყვეტილებების ერთგვაროვანი დასრულება არ გვაქვს: არის შემთხვევები საქმის დასრულების, შეწყვეტის, სხვა სასამართლოსთვის გადაცემის, უარის გადაწყვეტილების მიღებაზე. მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება პირისთვის მხარდაჭერის დანიშვნის საფუძველია. სასამართლოს ეკისრება ვალდებულება, გადაწყვეტილებაში ასახოს მისი გამოტანის მოტივი.

დასკვნა

დასკვნის სახით მინდა ავღნიშნო მხარდაჭერის ინსტიტუტი საკუთარი არსით, განსაკუთრებული და ძალიან დადებითი მოვლენაა ქართული კანონმდებლობისთვის. მისი გავლენა და როლი სიახლიდან გამომდინარე დღემდე დახვეწის პროცესშია თუმცა ბევრი დადებითი მოვლენა შეგვიძლია დავაკავშიროთ. ნაშრომში მიმოხილულია მხარდაჭერის მიმღების ცნება და მიმართება ცვლილებამდელ კოდექსთან. მხარდაჭერის მიმღების გარიგება უნარიანობა, დელიქტუნარიანობა, მხარდაჭერის მიმღები, როგორც საქორწინო ხელშეკრულების სუბიექტი, მხარდაჭერის მიმღების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის

⁷⁸ იხ: რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 28 ნოემბრის №2-269-16 გადაწყვეტილება, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 16 ივნისის №2/107-2016 გადაწყვეტილება.

უფლება. ყველა სხვა უფლებასთან მიმართებით გაკეთებულია სამართლებრივი რისკებისა და შედეგების ანალიზი.

მხარდაჭერის ინსტიტუტთან დაკავშირებული ცვლილება წარმოადგენს ნოვაციას სამოქალაქო სამართალში. ქმედუნარიანობის სისტემის განხორციელებული რეფორმა არის ძალიან პროგრესული და საინტერესო. იგი არსებითად ცვლის ქმედუნარიანობის გააზრებას და ეფუძნება პირის ნების ავტონომიას.

როგორც ნაშრომშია აღნიშნული, ცვლილება ემყარება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის“ სტანდარტებს. ცვლილების შედეგად ჩანაცვლებითი გადაწყვეტილების მიღების ცნება, რითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები იქცნენ სასამართლოს სუბიექტებად, ნაცვლად ობიექტებისა.

ქმედუნაროდ აღიარებული პირისგან განსხვავებით მხარდაჭერის მიმღებს სრულად შეუძლია იტვირთოს სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელება. დღეს მოქმედი მოდელი აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სრულ ქმედუნარიანობას და შემოაქვს ნების დამოუკიდებლად განხორციელების კომპონენტი. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცესში უშუალოდ მონაწილეობს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მნიშვნელოვანი მონაპოვარია რომ, მხარდაჭერის მიმღები პირების მიმართ ხორციელდება სავალდებულო დაცვა.

თუმცა მიუხედავად მხარდაჭერის მიმღები პირის ინსტიტუტის პროგრესულობისა, მას აქვს უამრავი ხარვეზი, რომელთა აღმოფხვრა აუცილებელია იმისთვის, რომ სისტემამ გამართულად იმუშაოს. პირველ რიგში აუცილებელია, რომ თვითონ სასამართლოებში დადგინდეს ამ კატეგორიის საქმეების განხილვის ერთიანი პრაქტიკა. არ მოხდეს ექსპერტების მხრიდან შაბლონური დასკვნების წარმოდგენა.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ნათლად იქნეს დადგენილი პირის მიმართ იძულებითი ექსპერტიზის დანიშვნის

შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების უფლება. აღნიშნულით პირს ექნება საშუალება დაიცვას თავისი უფლებები. საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, სასამართლო პრაქტიკის საერთო მიდგომების ჩამოყალიბება, პრაქტიკოსი იურისტების კანონმდებლობის ცვლილებების შესაბამისად ეტაპობრივი უზრუნველყოფა.

ცალსახად ნათელია, რომ მხარდაჭერის ინსტიტუტის არსებობა საქართველოს კანონმდებლობისთვის დადებითად აისახება სახელმწიფოს განვითარებაზე. ხოლო ეს ყველაფერი ძალიან დიდი მიღწევაა ყველა კუთხით. ამ და სხვა ინსტიტუტებზე მეტად ორიენტირება, პრობლემების მინიმუმამდე დაყვანა, კანონმდებლობის შესრულება და სწორი გაგება, თითოეულ მოქალაქეზე ცნობიერების ამაღლება მსგავს საკითხებში ძალიან დადებითია. ქვეყნის სამართლებრივ მიდგომებსა და სამართლებრივ პოლიტიკას ბევრად უფრო გააძლიერებს ვდრე ოდესმე გვქონია სტატისტიკური მაჩვენებელი ამ კუთხით.

მოცემულინაშრომი შედგება შესავლის, 5 თავის, 11 ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან. თუთოეულ მათგანში ხაზგასმით არის განხილული პრობლემური საკითხები, მათი სამართლებრივი შეფასებები და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადაჭრის გზების დასახვა.